Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.

http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული შრიფტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-10-27 23:24

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი

(უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია)

2008-10-27 23:24

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ.დავითაია

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო კახა, მობრძანებისათვის. როგორც ცნობილი არის, პარლამენტში შექმნილი არის დროებითი კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს და თქვენ მზადა ხართ თუ არა, ითანამშრომლოთ ამ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

კ.ლომაია. დიახ, მადლობა მოწვევისთვის. რა თქმა უნდა, მზად ვარ.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, კითხვები იქნება დასმული ბლოკების მიხედვით და თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, უპასუხოთ გარკვეულ ნაწილს. შემდგომ იქნება კითხვები ისევ გაგრძელებული. მე მგონი, ასეთ რეჟიმში გავაგრძელებთ მუშობას.

ბატონო კახა, ის აგრესია, რომელიც დაიწყო, ფაქტიურად, საქართველოს წინააღმდეგ, ცალსახად ჩანს იმ

მოსმენებით, რაც ჩვენ განვახორციელეთ თქვენამდე და იმ, რასაც ვხედავდით, რომ ეს აგრესია არ დაწყებულა აგვისტოს თვეში. ეს აგრესია დაიწყო უფრო ადრე და ამას ჰქონდა წინაპირობები. ჩვენ გვაინტერესებს, გქონდათ თუ არა თქვენ ინფორმაცია, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანს, და ვინ გაწვდიდათ ამ ინფორმაციას, თუ რა მზადდებოდა, თუ როგორ ხდებოდა კონფლიქტის ესკალაცია და კონკრეტულად, რა გეგმები შეიმუშავეთ თქვენ, რომ ამ სიტუაციაში სახელმწიფო არ შესულიყო და მოხვედრილიყო, ვთქვათ, მომხდარიყო განეიტრალება იმ ესკალაციის, რომელიც ხდებოდა. მონაწილეობდით თუ არა თქვენ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი, აგვისტოს მოვლენებში გადაწყვეტილებების მიღების დროს. ვისთან ხდებოდა ამ გადაწყვეტილებების მიღება და ღებულობდით თუ არა, აწვდიდით თუ არა ინფორმაციებს საქართველოს პრეზიდენტს. ჯერ ეს კითხვები და შემდგომ უკვე, თუ გაქვთ კითხვები, დავამატოთ. ბატონ აკაკი მინაშვილს.

ა.მინაშვილი. ბატონო კახა, საყოველთაოდ ცნობილია, გენერლის, სამშვიდობოების ხელმძღვანელი სარდლის, გენერალ ყურაშვილის განცხადება კონსტიტუციური წყობილების აღდგენის შესახებ. იყო თუ არა ასეთი ბრძანება გაცემული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და ასეთი გზავნილი გაგზავნილი ბატონი ყურაშვილისადმი, ეს ერთი. მეორე, რატომ არ მოხდა, საზოგადოებაში არსებობს კითხვა, თუ რატომ არ მოხდა ქართული მოსახლეობის ევაკუაცია მანამ, სანამ დაიწყებოდა აქტიური საომარი ფაზა. ჯერ ეს და მერე.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო კახა, უშიშროების საბჭოში იყრიდა ინფორმაცია ყველა უწყებიდან, რომელიც გარკვეულად კოორდინაციას ახდენდა. მიღებული ინფორმაციის შედეგად, გარკვეული მზადება და ანალიზი, რა თქმა უნდა, ხდებოდა. მე მაქვს ესეთი შეკითხვა: იყო თუ არა უშიშროების საბჭოში და, ალბათ, იყო, უბრალოდ, რა სახის იყო ინფორმაცია მოსალოდნელი ინტერვენციის და აგრესიის მასშტაბის შესახებ, ფლობდით თუ არა ამ ინფორმაციას. და კიდევ ერთი შეკითხვა: ამ ეტაპზე უცხოელი პარტნიორების მხრიდან, იქნებოდა ეს ამერიკის შეერთებული შტატები თუ ევროპის ქვეყნები, იყო თუ არა რაიმე სახის გაფრთხილება და მათი გაფრთხილების შემთხვევაში რა სახის მოლოდინი იყო ჩვენი უცხოელი პარტნიორების მხრიდან, რას ელოდნენ და რა სახის გაფრთხილებები იყო, თუ ასეთი არსებობდა.

ნ.ლალიაშვილი. დიახ. როდის ჩატარდა უშიშროების საბჭოს ბოლო სხდომა, თუ შეიძლება, რომ გვითხრათ, 2008 წლის 7 აგვისტომდე, და როდის ჩატარდა საბჭოს პირველი სხდომა 7 აგვისტოს შემდეგ და თუ შეიძლება, კომისიას გააცნოთ ამ სხდომების დღის წესრიგები. ასევე მაინტერესებს, აი აქ ითქვა, რომ მთავრობა დაყოფილი იყო 3 ბლოკად კონფლიქტის პერიოდში. ეს იყო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული, დიპლომატიური და უსაფრთხოების ბლოკები. და კოორდინაცია ამ ბლოკებს შორის ხორციელდებოდა სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, უშიშროების საბჭოს მდივნის დონეზე. თუ შეიძლება, დეტალურად გვითხრათ ამასთან დაკავშირებით, როგორ ხორციელდებოდა ეს კოორდინაცია. და ასევე, ასევე ითქვა წინა მომხსენებლის მიერ 7–ში, 23 საათზე, გაიცა პრეზიდენტის მიერ განკარგულება იმის შესახებ, რომ მომხდარიყო რეაგირება უკვე დაწყებულ სამხედრო აგრესიაზე, თქვენ იყავით თუ არა ამასთან დაკავშირებით ინფორმირებული მანამდე, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება უკვე მომწიფებული იყო და უნდა მიღებულიყო ეს გადაწყვეტილება და თუ არა, მაშინ როდის გაიგეთ ამ გადაწყვეტილების შესახებ, რომ უკვე მიღებული იყო ბრძანება იმის თაობაზე , რომ მომხდარიყო რეაგირება. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონ გაბაშვილს. უნდა დავასახელოთ ....

გ.გაბაშვილი. დიახ, იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ გვაქვს, პირველი ცნობები მასიური შემოჭრის შესახებ ფიქსირდება სადღაც დილის 3 საათისთვის, 7–ში. ეს ინფორმაცია ცნობილი იყო თუ არა თქვენთვის და წარმოადგენდა თუ არა ეს, ვთქვათ, შემდგომ ინფორმაციის მიწოდების საგანს ან კონსულტაციების საგანს ჩვენს საერთაშორისო მოკავშირეებთან.

ა.მინაშვილი. დავაზუსტებ, დამაზუსტებელი კითხვა. ბატონო კახა, შეგიძლიათ, მოკლედ რომ აღგვიწეროთ ის ქრონოლოგია, რომელიც დაიწყო 2008 წლის მარტიდან კონფლიქტის ესკალაციამდე, რუსეთის ფედერაციის აქტივობები, რომლებმაც მიგვიყვანა, საქართველოს ხელისუფლების პოზიციიდან გამომდინარე, მიგვიყვანა ამ ესკალაციამდე.

კ.ლომაია. აქ არის კითხვები, რომელზედაც მოკლე პასუხიც საკმარისია და არის კითხვები, რომელიც, ალბათ, მოითხოვს უფრო მეტი დროის დათმობას. მოდით, დავიწყებ, დავიწყებ მოკლე პასუხით.

გენერალ ყურაშვილის განცხადება იყო თუ არა სანქცირებული. არ იყო სანქცირებული. მის, მისი, მას არც ამ განცხადების გაკეთების უფლებამოსილება ჰქონდა და არსებითადაც არასწორი იყო ეს განცხადება. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტრომ, ასე ვთქვათ, ზეპირი გაფრთხილება მისცა გენერალ ყურაშვილს.

მეორე. როდის შედგა ბოლო სხდომა უშიშროების საბჭოსი. ომამდე შედგა ივნისის ბოლოს. თუმცკი, ჩვენ

სხვადასხვა ფორმატით უშიშროების საბჭოს წევრები იკრიბებიან ამა თუ იმ საკითხის განსახილველად და ბოლო ასეთი სხდომა უშუალოდ 7 აგვისტოს შედგა 1 საათზე, სადაც უშიშროების საჭოს ...

თავმჯდომარე. ბატონო კახა, დავაზუსტებ მე. აქაა საუბარი, რომ სამართლებრივ ფორმაზე უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარების, რომელიც ოფიციალური ორგანოა, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. ესე იგი 7 აგვისტოს, ივნისის ბოლოდან 7 აგვისტოს იყო, ვთქვათ, ამ ფორმატში ჩატარებული, ხომ, ივნისის ბოლოს და მერე 7 აგვისტოს. ეს რომ დავაზუსტოთ.

კ.ლომაია. კი, ბატონო. ეს მნიშვნელოვანი არის მაინც, რომ ვიცოდეთ, 7 აგვისტოს პრეზიდენტთან გაიმართა თათბირი უშიშროების საბჭოს წევრების მონაწილეობით. ყველა წევრი არ ესწრებოდა. ზოგიერთი მივლინებაში იყო, თქვენ იცით. იმ მომენტისთვის თბილისში მყოფ წევრთაგან პრაქტიკულად ყველანი ვიყავით და სწორედ იქ, სწორედ იქ შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა მოხსენება, რომ იმ დილით მათ უკვე ჰქონდათ მონაცემები, რომ რუსეთის ნაწილებმა დაიწყეს შემოსვლა. მაშინ ჩვენთვის ბოლომდე არ იყო ნათელი, რეგულარული ნაწილები იყვნენ თუ ეგრეთ წოდებული დაქირავებულები ჩრდილოეთ კავკასიიდან. სხვათა შორის, ეს ნათლად ჩანს 7 აგვისტოს განცხადებიდანაც საგარეო საქმეთა სამინისტროსი, საადაც წერია ზუსტად ის, რაც იმ მომენტისთვის ჩვენ ვიცოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ სამხედრო ტექნიკა გადაადგილდებოდა, სამხედრო ტექნიკა შემოდიოდა როკის გვირაბიდან და შემოდიოდა ცოცხალი ძალა, თუმცა კი, ბოლომდე დარწმუნებულები იმაში, რომ ეს იყვნენ რეგულარული ნაწილები, ჩვენ არ ვიყავით და სწორედ ეს წერია 7 აგვისტოს განცხადებაში. მეორე, ეს არის დღე, როდესაც, თქვენ იცით, ივლისის ბოლოდან, პრაქტიკულად, კულმინაციას მიაღწია უკვე სეპარატისტთა უკანონო ბანდფორმირებების აქტივობამ. მე ხაზს გავუსვამ, მნიშვნელოვანი არის ამ მხრივ 29 ივლისი, როდესაც მათ პირველად გამოიყენეს ოფიციალურად აკრძალული იარაღი, ეს არის 82 მმ–იანზე უფრო დიდი კალიბრის იარაღი, რაც, სხვათა შორის, დადასტურებული არის რუსი გენერალ კულახმეტოვის მოხსენებით ბარათში. თუ არ ვცდები, ბატონი იაკობაშვილი გესაუბრათ ამაზე, ბარათის ასლი არსებობს და, ალბათ, თქვენი კომისიისთვის მნიშვნელოვანი იქნება. ეს იყო ერთგვარი გარდამტეხი მომენტი, როდესაც მათ დაიწყეს ოფიციალურად აკრძალული მსხვილკალიბრიანი არტილერიის გამოყენება კონფლიქტის რეგიონში. ნუ, მათ ცეცხლსა და გაზრდილი ინტენსივობის ცეცხლს მოჰყვა პირველი მსხვერპლი უკვე, როგორც მშვიდობიან მოსახლეობაში, ასევე ჩვენს სამშვიდობო ბატალიონის კონტიგენტში. ეს არის, როგორც მოგახსენეთ, 7 აგვისტოს პირველი საათი და პრეზიდენტმა გვკითხა, იყო თუ არა ეს, ჩვენი აზრით, წითელი ხაზის გადალახვა, წითელი ხაზის გადალახვა. ახლა ცალ–ცალკე, ვთქვათ, სეპარატისტების მხრიდან ცეცხლი ამა თუ იმ მოცულობით, რუსების მიერ უკანონო შენაერთების შემოყვანა იქნება ეს აფხაზეთში თუ ცხინვალის რეგიონში, ჩვენ ადრეც გვქონია არაერთხელ, განსაკუთრებით, მოყოლებული მარტიდან, რაზედაც მე ვისაუბრებ, თქვენს კითხვას გავცემ პასუხს. მაგრამ კომბინაცია ამ ფაქტორებისა უკვე შემაშფოთებელი იყო და, ბუნებრივია, ჩვენ ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს ოფიციალურ სხდომებზეც და უშიშროების საბჭოს წევრთა მონაწილეობით თათბირებზეც გვისაუბრია, რომ რა არის წითელი ხაზი, სად გადის ეს ხაზი, რის შემდეგაც ნებისმიერმა სუვერენულმა მთავრობამ უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. და ჩვენს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ, სხვათა შორის, ეს ცნობილი იყო ჩვენი ყველა პარტნიორი ქვეყნისთვის, რომ წითელი ხაზი გადის იქ, სადაც, რის შემდეგაც იწყება უკვე რეალურად ინტერვენცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და რეალურად საფრთხე ექმნება კონფლიქტის ზონებში მცხოვრები, მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას. ამ ორი ფაქტორის კომბინაციამ მოიყარა თავი სწორედ ამ მომენტისთვის, როდესაც, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და პრაქტიკულად ყველამ ჩვენ ვუპასუხეთ პრეზიდენტს, რომ, ჩვენი აზრით, ეს წითელი ხაზი გადალახულია.

თავმჯდომარე. ... 1 საათზე,

ა.ლომაია. ეს არის 7 აგვისტოს 1 საათზე, შეგახსენებთ, რომ დაახლოებით 14 საათიდან, 14 საათსა და 30 წუთამდე განხორციელდა უკვე მასირებული საარტილერიო შეტევა ფრონეს ხეობის სოფლებზე - ავნევი და ნული, სადაც ჩვენი სამშვიდობო ბატალიონის პოზიციები იქნა დაბომბილი, და პრაქტიკულად, ჩვენ მაშინ უკვე მსხვერპლი გვყავდა, როგორც მშვიდობიან მოსახლეობაში ამ მომენტისთვის, ასევე ჩვენს სამშვიდობოებში და დაიღუპა კიდევაც ერთ-ერთი ჩვენი სამშვიდობო ...

თავმჯდომარე. ეს რატომ მინდა დავაზუსტო, იმიტომ, რომ ეხლა ბატონმა თემურ იაკობაშვილმა თქვა, რომ რაც, შეიძლება, დროში ცოტა არ ემთხვევოდეს, იმიტომ, რომ ზუსტად რომ ვიცოდეთ, რომ 3 საათზე ის იმყოფებოდა ცხინვალში.

ა.ლომაია. კი, კი, არა,არა, ყველაფერი ემთხვევა.

თავმჯდომარე. ნუ, აი ეს რომ იყოს დაცული.

ა.ლომაია. დიახ, აბსოლუტურად. და სწორედ აი ამ თათბირიდან პრაქტიკულად პრეზიდენტმა მისცა მითითება ბატონ თემურს. თქვენ იცით, რომ 2 დღით ადრე ბატონი თემური ჩასული იყო ცხინვალში. მას, სპეციალურად იმისათვის, რომ სეპარატისტებს ფორმალური მიზეზიც რომ არ ჰქონოდათ, უარი ეთქვათ მოლაპარაკებებზე, პრეზიდენტმა მიანიჭა თავისი სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება თავისი ბრძანებულებით და პრეზიდენტმა დაავალა კიდევ ერთხელ ჩასვლა ცხინვალში, სწორედ თათბირიდან მოხდა და იაკობაშვილი, თუ არ ვცდები, თითქმის 2 საათი იყო ცხინვალში, 3-დან 5 საათამდე, უნაყოფოდ ცდილობდა დარწმუნებას, სეპარატისტების დარწმუნებას, რომ შეხვედროდნენ და ესაუბრათ რაიმე ესკალაციის განმუხტვაზე. ეხლა, ...

თავმჯდომარე. ესე იგი 3-ის ნახევრამდე იყო სროლები, 3 საათიდან უკვე, რაც ბატონმა თემურმა თქვა, რომ მოლაპარაკება მიდიოდა, 3-დან 5-მდე ეს იყო, აწარმოებდა იქ საუბარს კულახმეტოვთან, როგორც მან თქვა. ესე იგი, კულახმეტოვთან ...

ა.ლომაია. და კულახმეტოვმა უთხრა მას, რომ პრაქტიკულად სეპარატისტები გავიდნენ მისი კონტროლიდან. ისიც კი უთხრა, ძაან საგულისხმო არის, რომ ისინი ხშირად ისვრიან მათ, მათ ზურგს უკან ანუ, ისეთ პოზიციებს ირჩევენ, ეხლა ჩვენ ვიცით, რომ რუსი, ეგრეთ წოდებული, სამშვიდობოების შტაბი იყო ეგრეთ წოდებულ "ვერხნი გარადოკის" დასახლებაში ცხინვალში. სპეციალურად ირჩევენ ისეთ ადგილებს, რომ შემდეგ საპასუხო ცეცხლის პროვოცირება მოახდინონ. ეს მან რეალურად აღიარა იაკობაშვილთან შეხვედრის დროს. და ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ იაკობაშვილმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, თქვა რომ მიღებულია გადაწყვეტილებაც ჩვენი მხრიდან, სამთავრობო ძალების მხრიდან, ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რაც შემდეგ პრეზიდენტმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა. სამწუხაროდ, ამან არ იქონია არანაირი ზეგავლენა დინამიკაზე და დაახლოებით საღამოს 9-ის ნახევრიდან განახლდა საარტელერიო შეტევები უკვე ჩვენს ე.ი. როგორც სოფლებზე, ასევე ჩვენი სამშვიდობოების პოზიციებზე. და შემდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, თქვენ იცით, უმაღლესი მხრიდან, მთავარსარდლის მიერ იქნა გადაწყვეტილება.

თავმჯდომარე.ბატონო კახა, დავაზუსტებ ერთ საკითხს, 1 საათზე, როცა უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდა, შემდგომ, უკვე საღამოს უშიშროების საბჭოს სხდომა, ვთქვათ, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით იყო თუ არა ჩატარებული, დავუშვათ, იგივე წითელი ხაზის გადაკვეთასთან დაკავშირებით. და, თუ ერთპიროვნულად ხდებოდა, რაღაც პიროვნული კონტაქტების საფუძველზე შემდგომ გადაწყვეტილების მიღება.

კ.ლომაია.... საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა, შემდეგ უკვე ამის, პრაქტიკულად შესაძლებლობაც, იმდენად სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, დღის 1 საათზე, ვთქვათ, აი, ეს თათბირი შედგა და შემდეგ პრეზიდენტს ჰქონდა სატელეფონო კონტაქტი უკვე შესაბამის, უშიშროების საბჭოს შესაბამის წევრებთან ვითარების, ესე იგი, მდგომარეობის განვითარების შესახებ. ეს არის...

თავმჯდომარე. ბატონმა თემურმა ვერ გასცა პასუხი ერთ შეკითხვას, რომ ვისთან ჰქონდა კონტაქტი პრეზიდენტს მის ბრძანებულების გაცემასთან დაკავშირებით. ეს კონტაქტური პირი იყავით თქვენ თუ იყო გენერალური შტაბი ან რაღაც სხვა ორგანო.

კ.ლომაია. თქვენ, რამდენადაც მესმის, გენერალური შტაბის ხელმძღვანელობასთან და თავდაცვის მინისტრთანაც გექნებათ საუბარი.

თავმჯდომარე. კონტაქტი, აი ეს ბრძანების მიღება, აი გვინდა დრო დააფიქსიროთ თქვენ.

კ.ლომაია. არა, უმაღლესი მხედართმთავარი ბრძანებას აძლევს შეიარაღებულ ძალებს და შესაბამის სტრუქტურებთან ჰქონდათ კონტაქტი. აი ეს იყო ის, ის უშუალოდ 7 აგვისტო, ის დღე, რომელიც წინ უძღოდა, ასე ვთქვათ, ჩვენს კონტრშეტევას და პასუხს რუსულ აგრესიაზე. რაც შეეხება ინფორმაციას მოსალოდნელი მასშტაბის შესახებ. თქვენ საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობისგანაც იცით, შინაგან საქმეთა მინისტრი დეტალურად მოგახსენებთ ამის შესახებ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ ინფორმაცია გაგვაჩნდა. უშიშროების საბჭოს წევრთა მიერ ეს ინფორმაცია, წევრთა შორის, ეს ინფორმაცია რეგულარულად ვრცელდებოდა და იცვლებოდა. სამი წყარო არსებობს, თქვენ იცით, ძირითადად ინფორმაციის. ეს თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და საგარეო დაზვერვის სამსახური. ისე, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხდებოდა ესკალაცია, ცნობილი იყო. ჩვენს შესაძლო სცენარებში მოვლენათა განვითარების, ალბათ, იერარქია საფრთხეების იყო შემდეგი: ყველაზე მაღალი საფრთხე, ყველაზე მაღალი ალბათობა ენიჭებოდა აფხაზეთში სამხედრო აქციას და უფრო კონკრეტულად, კოდორში. ბევრი ნიშანი მიუთითებდა ამას. მეორე, ალბათ, იერარქიაში, ალბათობით, იყო რუსეთის სამხედრო მოქმედებები ცხინვალის

რეგიონში და მესამე, განუზომლად დაბალი ალბათობის და ამაზე ჩვენ ცალკე შეგვიძლია ვისაუბროთ უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, გახლდათ ის, რაც რეალურად განხორციელდა. ანუ პრაქტიკულად, ქვეყნის 15 აგვისტოს მდგომარეობით, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ქვეყნის დაახლოებით 50% ან უშუალოდ იყო ოკუპირებული რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ, ან ამ ტერიტორიებთან მისასვლელი გზები კონტროლირდებოდა რუსეთის საოკუპაციო ნაწილების მიერ. ანუ, ამ სცენარის ალბათობა იყო ძალიან დაბალი, მაგრამ ალბათობა პირველი და მეორე სცენარებისა ჩვენ მიერ იქნა გაშვებული, ასე ვთქვათ, დაშვებული იქნა ამ ანალიზში, რისკების ანალიზში. მასშტაბი, ის, რომ გამოიყენებდნენ 40 ათასს, ეს არის ყველაზე კონსერვატიული შეფასება, 40 ათასს და მთლიანად ოპერაციაში 80 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე იყო ჩაბმული რუსეთის მხრიდან. შეტევა განხორციელდა სამი განზომილებით, ეს არის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. ამას ემატება, სხვათა შორის, კიბერშეტევები ანუ შეტევები ჩვენს საიტებზე და მაშინ, იმ დაახლოებით რამდენიმე დღის განმავლობაში, ბლოკირებული იყო რამდენიმე საიტი, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო, მინდა გითხრათ, მედია–საიტები რამდენიმე იყო ბლოკირებული, ანუ ჩვენ, პრაქტიკულად, საქმე, ჩვენ აღმოვჩნდით პირისპირ სრულმასშტაბიანი აგრესიისა. ჩვენი პარტნიორი სამსახურების მონაცემებით, რუსეთმა ამ ოპერაციაში ჩართო თავისი სახმელეთო ბრძოლისუნარიანი პოტენციალის დაახლოებით მესამედი. ეს არის საგულისხმო მონაცემები...

თავმჯდომარე. საბჭოს გააჩნია, ბატონო კახა, ამის მტკიცებულება? ამ მონაცემების, რაც მტკიცებულება, საუბარია საჯარისო ფორმირებებზე, იმიტომ, რომ ეს ჩვენ რომ დასკვნაში ავსახოთ, თუ არის ამის დამამტკიცებელი საბუთი.

კ.ლომაია. ჩვენ გვაქვს ჩამონათვალი იმ შეიარაღებული, რუსეთის შეიარაღებული ძალების იმ ერთეულებისა, რომელიც, ჩვენი აზრით, იღებდა მონაწილეობას. 100 %–იან სიზუსტეზე, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავდებ, მაგრამ ასევე შემიძლია დაგისახელოთ დახურულ რეჟიმში იმ ჩვენი პარტნიორების მონაცემები, ვინც გვაწვდიდა ინფორმაციას უკვე მათი აგრესიის მასშტაბის შესახებ. ასე რომ, ამ მასშტაბის აგრესია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იყო, მისი ალბათობა ჩვენ მიერ იყო შეფასებული, როგორც ძალიან დაბალი. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს აღმოჩნდა შოკი და სიურპრიზი საქართველოზე გაცილებით უფრო ძლიერი სადაზვერვო და უსაფრთხოების სისტემებისთვისაც. ახლა საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ სწორედ რუსეთის აგრესიის შემდეგ დაიწყო რეალურად, რეალური მექანიზმების შემუშავება იმაზე, თუ როგორ შეიძლება უპასუხოს ნატომ მის ერთ–ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმას. აი, 20–21 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი ბატონი მალენი იმყოფებოდა ბალტიის ქვეყნებში და სწორედ მუშაობენ, დაიწყეს მუშაობა მე–5, ე.წ. ცნობილი მე–5 პუნქტის, ნატოს წესდების მე–5 პუნქტის ამუშავების პრაქტიკულ მექანიზმებზე.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, დავამატებ ერთ მომენტს. აი, თქვენ თქვით, რომ ეს საკითხები, რაც შეეხება, შოკისმომგვრელი იყო. ეს აგრესია რაც დაიწყო, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ის აწვდიდა უშიშროების საბჭოს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო აგრესია იქნებოდა, ოღონდ, ეს იყო ნოემბრის თვე, მისი სადაზვერვო მონაცემებით, რაც მას ჰქონდა. აი, თქვენს ქვემდებარე უწყებაში, როგორც მე ვიცი, არის დეპარტამენტები, რომელიც ამუშავებენ გარკვეულ ინფორმაციას და უკეთებენ პოლიტიკურ ანალიზს, თქვენი აზრით, როდესაც დაზვერვის დეპარტამენტიდან ეს ინფორმაცია მოდიოდა, როდესაც, ვთქვათ, ესკალაცია ხდებოდა კონფლიქტის, რატომ არ მოხდა ამის გაანალიზება, ამ საფრთხეების, ვთქვათ და რატომ აი, თქვენ თქვით, რომ შოკისმომგვრელი გახდა ეს. რატომ, რისი ბრალი გახდა ეს, ეს იყო არასწორი ანალიზის ბრალი, ეს იყო უწყებათაშორისო არაკოორდინაციის და იმ ჯგუფების, რომლებიც ვალდებული იყვნენ თქვენ მოგეწოდებინათ, თქვენთვის მოეწოდებინათ ინფორმაცია. იმიტომ, რომ აქ, თუნდაც, ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის გადახედვა შეიძლებოდა ამ მიმართულებით, რაც შეეხებოდა საფრთხეების გაზრდას. იმიტომ, რომ დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, იგივე საგარეო საქმეთა მინისტრმა ცალსახად გაუსვა ხაზი, რომ კოორდინაციის საკითხი ჯგუფების დაგვიანებული იყო ამ იმასთან დაკავშირებით. აი, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი და სახელმწიფომ, თქვენ როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ასეთი, მით უმეტეს, აგრესია დამთავრებული არ არის, ამას ყველა ვთანხმდებით, რომ ეს სიტუაცია უფრო მუშა რეჟიმში რომ ჩაჯდეს და უფრო სწრაფად მოხდეს ინფორმაციების დამუშავება. აი, თქვენი აზრი ამაზე.

კ.ლომაია. მოგახსენებთ. თქვენ იცით, რომ სადაზვერვო ინფორმაციას აქვს ისეთი თავისებურება, ყველაფერი შეიძლება არ დადასტურდეს. ეხლა ჩვენ სინამდვილეში ინფორმაცია, ის ინფორმაცია, რომელიც გროვდება სხვადასხვა სტრუქტურების მიერ, ზოგჯერ წინააღმდეგობრივია და მხოლოდ, მხოლოდ დადასტურებულ ინფორმაციას შეიძლება მეტ–ნაკლებად დაეყრდნონ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ, როგორ მოხდა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება რუსეთის ხელისუფლებაში. რა რესურსები გააჩნდათ მათ, მათ შორის, უშუალოდ ჩვენს საზღვრებთან. ეს ერთი საკითხია, და რა გადაადგილებები შეინიშნებოდა. მეორე საკითხია პოლიტიკური გადაწყვეტილება. და ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთგვარი ცვლილება, ცვლილებას და იმ გადაწყვეტილების მიღებას, რაზედაც, რის წინაშეც მთელი მსოფლიო დადგა, ადგილი ჰქონდა

9 აგვისტოს. მაშინ, როდესაც პუტინი, პუტინმა შეწყვიტა თავისი მივლინება, - იქნებ, ასეც ყოფილიყო დაგეგმილი, ეხლა ძნელი სათქმელია, - ჩინეთში, დაბრუნდა, ჩავიდა ვლადიკავკასში. როგორც ჩანს, იქ მას დაახვედრეს ინფორმაცია, ძალიან არასახარბიელო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მძიმე დანაკარგები ჰქონდა რუსეთის სამხედრო მანქანას უკვე იმ მომენტისთვის ცხინვალში და მთლიანად ცხინვალის რეგიონში. და ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იქ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ამოქმედებულიყო ის სრულმასშტაბიანი აგრესიის გეგმა და ეს გეგმა რომ არსებობდა, ამაზე, ამის ირიბი, ირიბი მინიშნება მე შემიძლია მოგვიანებითაც გითხრათ, უკვე გითხრათ, მოგახსენოთ. უკვე გორში რუს გენერლებთან ურთიერთობისას გარკვეული, გარკვეული მინიშნებები გაკეთდა ამაზე. ასე რომ, იყო ინფორმაცია შემაშფოთებელი, მათ შორის, იყო ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ იყო ახალი. მაგალითად, წვრთნები, ეგრეთწოდებული "კავკასია 2008", წვრთნები, რომელიც ჩატარდა 16 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ეს არ იყო უნიკალური წვრთნები. ზუსტად 2 წლის წინ, 2006 წლის ივლისში ჩაატარეს მათ ანალოგიური წვრთნები. მაშინაც ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს და ახლაც ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს. ჩვენი შესაძლო პასუხი მათ, უფრო სწორად, ჩვენი პასუხი მათ შესაძლო აგრესიაზე, ალბათ, შეიძლებოდა უფრო ადეკვატური ყოფილიყო იმ ძალებისა, რომელიც იყო ჩართული ამ წვრთნებში. ჩვენ დაახლოებით ვსაუბრობთ 8 ათას სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც იღებდა მონაწილეობას აი, ამ, 16 ივლისიდან 2 აგვისტომდე. ნუ, საყურადღებოა ის, რომ, როგორც შემდგომ გაირკვა, ისინი აღარ დაბრუნებულან თავიანთი მუდმივი დისლოკაციების ადგილებში 2 აგვისტოს შემდეგ და მათ დაიწყეს პრაქტიკულად ინფილტრაცია საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენი პასუხი ადეკვატური იყო იმ ძალისა, რომელსაც მათ იმ მომენტში, რაც იყო ჩვენთვის ცნობილი, თავი მოუყარეს სწორედ ჩრდილო კავკასიაში.

ეხლა რაც შეეხება იმას, როგორი შეიძლებოდა ჩვენი პასუხი ყოფილიყო იმ შემთხვევაში, რომ გვცოდნოდა, რომ მართლა სრულმასშტაბიანი აგრესია იგეგმებოდა. ეხლა აქ უნდა ვიყოთ აბსოლუტურად გახსნილები. ჩვენ გვყავს რეგიონში ყველაზე მცირერიცხოვანი არმია, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, და ჩვენ დაგვიპირისპირდა მსოფლიო სამეულში შემავალი, რიცხოვნობით სამეულში შემავალი არმია.

ეხლა ილუზია იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები დაამარცხებდნენ რუსეთის ფედერაციის ძალებს, რა თქმა უნდა, ეს ილუზია არავის არ ჰქონია. ჩვენი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ამოცანა გახლდათ, ისევე, როგორც ყველა დიდ აგრესორთან მცირე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ამოცანა არის ის, რომ მაქსიმალურად შეაფერხოს მათი წინსვლა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა პოლიტიკოსებს და დიპლომატებს მისცეს შანსი და საერთაშორისო ჩარევა მოხდეს აგრესიის შესაჩერებლად. ეს არის ზოგადად პოლიტიკური ამოცანა და ასეთი პოლიტიკური ამოცანა იდგა ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშეც.

მინდა ვთქვა, რომ პრაქტიკულად მათ ეს ამოცანა შეასრულეს: 4–5 დღის განმავლობაში ისინი წინ აღუდგნენ რუსეთის აგრესიას და სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა საქართველოს ხელისუფლებას და ჩვენს პარტნიორებს, პოლიტიკური და დიპლომატიური ხერხებით შეეჩერებინათ მათი შემდგომი, ამ აგრესიის შემდგომი განვითარება. და, მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ უარყო რუსეთის ხელისუფლებამ გეგმები თბილისის აღების, აი, სულ ბოლო დადასტურება იყო სულ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტ სარკოზის გამოსვლა, თქვენ იცით, ევროკავშირის სამიტზე, სადაც მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთს ჰქონდა თბილისის აღების გეგმა, შესაბამისად, ხელისუფლების დამხობით და რეჟიმის შეცვლის გეგმა. ასე, რომ ასეთი პოლიტიკური ამოცანა იდგა ჩვენი, ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშე. იმ რესურსებით, რომელიც 9 აგვისტომდე ჰქონდა ჩართული რუსეთს, ამ ამოცანას ჩვენი შეიარაღებული ძალები უმკლავდებოდნენ წარმატებით. და ასევე მოგახსენებთ მოგვიანებით, რომ გვაქვს ასევე ირიბი მინიშნებები მათი წყაროებიდან, თუ რამდენად წარმატებული იყო ჩვენი კონტრშეტევა, ჩვენი შეიარაღებული ძალების, ხოლო მას შემდეგ, რაც, როგორც ჩანს, იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული, რომ სრულმასშტაბიანი აგრესიის და ოკუპაციის გეგმა აემუშავებინათ, რა თქმა უნდა, ამ აგრესიის წინაშე ჩვენ გვქონდა მხოლოდ ორი გამოსავალი. პირველი, მოვქცეულიყავით ისე, როგორც მოვიქეცით ანუ ორგანიზებულად, ძირითადად ორგანიზებულად, დაგვეხია უკან, დედაქალაქის დასაცავად. ან მეორე, ეს, ეგრეთ წოდებული ავღანური ან ჩეჩნური სცენარი, როდესაც ყოველი სახლი, ასე ვთქვათ, მოსახლეობისათვის იარაღის დარიგება, ყოველი სახლის გადაქცევა გამაგრებულ პუნქტად და პარტიზანულ ბრძოლებზე გადასვლა და ასე შემდეგ. გასაგებია ეს, ეს სცენარიც ცნობილია. პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ მეორე სცენარი იქნებოდა კატასტროფული შედეგების მქონე და პირველი სცენარით განვითარდა მოვლენები ანუ ჩვენმა შეიარაღებულმა ნაწილებმა ორგანიზებულად დაიხიეს დედაქალაქისკენ, და აი ამ ვადამ შესაძლებლობა მისცა უკვე პოლიტიკურ და დიპლომატიურ აქტივობას და ჩართვას საერთაშორისო საზოგადოების.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, ერთ საკითხს დავაზუსტებ, რომ თქვენ ორჯერ იხმარეთ სიტყვა კონტრშეტევა, მე რატომ ვაზუსტებ ამ საკითხს, იმიტომ, რომ როგროც ბატონმა თემურმა აღნიშნა, იყო გაცემული ბრძანება, ტანკების შეჩერებაზე და იყო საცეცხლე წერტილების ჩაქრობაზე და არა კონტრშეტევაზე. მე ამიტომ ვაზუსტებ

ამას, ეს თქვენ ლიტერატურულად იხმარეთ, ეს სიტყვა, თუ ბრძანება იყო კონტრშეტევასთან დაკავშირებით.

კ.ლომაია.ესე იგი, ჩვენი მოქმედებების ლოგიკა იყო ძალიან მარტივი. პირველი, საცეცხლე წერტილების ნეიტრალიზება, ცხინვალის გარეუბნებში, და თვითონ ცხინვალში, და მინდა გითხრათ, რომ სწორედ ცენტრალური უბნებიდან იქ, სადაც ადმინისტრაციული ნაგებობებია, მოდიოდა ცეცხლი, ჩვენ სამთავრობო შენაერთებზე და შემდეგ მაქსიმალურად მოკლე ვადაში მცდელობა ცხინვალის შემოვლით დაწინაურებისა, რაც შეიძლება ახლოს ჯავისკენ და შემდეგ როკის გვირაბი...

თავმჯდომარე.და არა ცხინვალში შესვლა.

კ.ლომაია.და არა ცხინვალში შესვლა.

თავმჯდომარე. მნიშვნელოვანია,

კ.ლომაია.მნიშვნელოვანია, ცხინვალში საცეცხლე წერტილების ნეიტრალიზება იყო გამოცხადებული. აი, ეს ამოცანა იყო .

თავმჯდომარე.და არა კონტრშეტევა, ამას ხაზი. . .

კ.ლომაია. კონტრშეტევას, მე ვგულისხმობ რუსეთის შემოჭრის საპასუხოდ და არა ცხინვალის აღებას. არავითარ, ასე ვთქვათ, სამხედრო ამოცანას არ წარმოადგენდა. ამოცანას წარმოადგენდა იქ საცეცხლე წერტილების ნეიტრალიზება, საიდანაც ცეცხლს უშენდნენ, როგორც ჩვენ სამშვიდობოებს, ასევე ჩვენს სოფლებს. აი, ეს იყო სწორედ პოლიტიკური მოქმედებების პოლიტიკური ლოგიკა და გარდამტეხი დღე, ჩვენი აზრით. ჩვენ ამას ვვარაუდობთ, თუმცა კი ამას, ალბათ, ისტორიკოსები, თუ მათ ოდესმე მიეცემათ შესაძლებლობა, რომ რუსეთის არქივებზე იმუშაონ ან იმ საერთაშორისო კომისიამ, რომლის შექმნის ინიციატივით ბევრჯერ და არაერთხელ გამოვიდა საქართველოს მთავრობა, მას თუ მიეცემა ამის შესაძლებლობები, ის, ალბათ, გასცემს პასუხს იმაზე, თუ როდის მომზადდა აი, ის სრულმასშტაბიანი აგრესიის გეგმა და 9–ში იქნა მიღებული თუ არა გადაწყვეტილება მისი ამოქმედების შესახებ. ჩვენი აზრით, ეს მოხდა სწორედ 9–ში, როდესაც პუტინი ჩავიდა ვლადიკავკაზში.

თავმჯდომარე. ნუ, კახა, ერთ კითხვას დავსვამ. ეს კითხვა მოდის საზოგადოებიდან აი, ამ თემაში ჯდება და იმიტომ. ე.ი. რა სამხედრო–პოლიტიკური მიზნით ხორციელდებოდა სამხედრო მოქმედებები: კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, ბანდფორმირებებში, ბანდფორმირებების განადგურება, ქართული მოსახლეობის სეპარატისტების აგრესიისაგან დაცვა, რუსული ინტერვენციის განყოფა, თუ სეპარატისტული რეჟიმების დამხობა თუ სხვა რაღაცა ფორმა იყო ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. ეს კითხვა საზოგადოებაში მუსირებს და მოგვაწოდეს, ვთქვათ, იგივე ინტერნეტის საშუალებით.

კ.ლომაია. ნაწილობრივ, ალბათ, გავეცი ამ კითხვას პასუხი. პირველი. ორი ამოცანა დაისვა კონკრეტულად შეიარაღებული ძალების წინაშე. პირველი. საცეცხლე წერტილების ნეიტრალიზება, მე შეგნებულად არ ვხმარობ სიტყვა სეპარატისტების იმიტომ, რომ ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, მათი უმრავლესობა იმართებოდა სწორედ რუსული რეგულარული ჯარების მიერ, მაგრამ პირობითად თუ გავყობთ, ეს უკვე იქ არსებული რესურსების გასანეიტრალებლად, სამხედრო რესურსების მეორე, ეს დამატებით, როკის გვირაბის გავლით უკვე 7–ში დილიდან შემოსული. ზოგიერთი რუსული წყარო ამბობს, რომ 5–ში დაიწყო მათი ინფილტრაცია ცხინვალში ანუ როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში აი, ამ, მათი, ჯავის მიდამოებში მათი წინსვლის შეჩერება. აი, ეს 2 ამოცანა იდგა შეიარაღებული ძალების წინაშე. ეხლა შეიარაღებული ძალების წინაშე ვერ დადგებოდა სეპარატისტული რეჟიმის დამხობის ამოცანა. ეს პოლიტიკური ამოცანაა. ჩვენ ვსაუბრობთ სამხედრო კომპონენტზე, იმაზე, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიური ხელშეწყობით და დახმარებით იქნა აშენებული წლების განმავლობაში. აი, კონკრეტულად პასუხი თქვენს კითხვაზე.

იყო თუ არა გაფრთხილებები ჩვენი პარტნიორების მხრიდან?

მინდა გითხრათ, რომ 6 მარტის შემდეგ, მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობა ოფიციალურად გამოვიდა ემბარგოს რეჟიმიდან და ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ გუშინწინდელი უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ის ბრალს დებს სწორედ რუსეთს სეპარატისტულ რეგიონებში იარაღის უკანონო მიწოდების გამო.

6 მარტს, როგორც ჩანს, რუსეთში იქნა მიღებული გადაწყვეტილება, როგორც ჩანს კი არა, ასეა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარი შენიღბვა უნდა მოიხსნას და იარაღი, სხვა საშუალებები, სამხედრო

საშუალებები აფხაზეთისთვის, მას შეუძლია, რომ ღიად მიაწოდოს, რაც შემდეგმა მოვლენებმა დაადასტურეს. ასე რომ, ჩვენ, მოყოლებული 6 მარტიდან, მანამდეც, მაგრამ 6 მარტიდან უფრო გაზრდილი ინტენსივობით მუდმივ კონსულტაციებს გავდიოდით ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან ასევე აშშ–სთან და მუდმივად ვაწვდიდით ინფორმაციას, შეიძლება ითქვას, ვცვლიდით კიდევაც ინფორმაციას რუსული, რუსეთის მიერ გადადგმული აგრესიული ნაბიჯების და სამხედრო ნაბიჯების თაობაზე. ბუნებრივია, რომ ყოველთვის ჩვენ ხაზს ვუსვამდით ჩვენს განზრახვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანად იქნას ეს კონფლიქტი მოგვარებული და სრულ გაგებას პოულობდა, როგორც ევროპულ დედაქალაქებში ასევე ვაშინგტონში. ეს სრულ თანხვედრაში იყო იმ კურსთან, რომელიც მათ ჰქონდათ აღებული საქართველოში კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით.

ბუნებრივი არის, რომ ჩვენ ისინი ყოველთვის გვთხოვდნენ, რომ იქნება პროვოკაციები და ამ პროვოკაციებზე ჩვენ არ უნდა ვუპასუხოთ და ეს ემთხვეოდა ჩვენს განცდასაც და ჩვენი მოქმედებების ლოგიკასაც ემთხვეოდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველომ არ უპასუხა ასეთი ტიპის პროვოკაციებს არაერთხელ, ეს იქნებოდა სადესანტო ნაწილების შეყვანა ოჩამჩირეში თუ ე.წ. შეუიარაღებელი, უიარაღო სარკინიგზო ჯარების შეყვანა თუ ჩვენი საფრენი საშუალებების ჩამოგდებას თუ მათი მხრიდან ჩვენი საჰაერო სივრცის არაერთგზის დარღვევას, ჩვენ ყოველთვის ვინარჩუნებდით სიმშვიდეს და ამდენად, გავცემ პასუხს, თქვენ კითხვას, რომ, დიახაც, ჩვენ გვქონდა სრული თანხმობა და შეთახმება და კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ჩვენ არ უნდა ვუპასუხოთ მათ პროვოკაციებს, მაგრამ, ასევე, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვქონდა სრული თანხმობა იმის თაობაზე, რომ არსებობს წითელი ხაზი და ეს წითელი ხაზი გადის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და გადის აგრესიის მიუღებლობაზე და სწორედ იმ მომენტისთვის, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, სრულიად ნათელი გახდა ყველასთვის, რომ ეს წითელი ხაზი გადაკვეთილიყო. ასე რომ, პასუხი არის დადებითი. ჩვენ გვქონდა თანხმობა იმაზე, რომ პროვოკაცია უნდა ავიცილოთ თავიდან, მაგრამ, ასევე, კარგად გვესმოდა, რომ არსებობს წითელი ხაზებიც და ეს კარგად ესმით, ესმოდათ და ესმით, ჩვენს უცხოელ პარტნიორებს.

პირველი შემოჭრის შესახებ, იცოდნენ თუ არა? აი, დილის შესახებ, იცოდნენ თუ არა? დიახ, იცოდნენ, ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა. ამის დადასტურება გახლავთ, სწორედ ჩვენი, ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება 7–ში, დილით გაკეთებული დაახლოებით შუადღეს გაკეთდა ეს განცხადება, სადაც საქართველოს მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ როკის
გვირაბის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ, შემოვიდნენ რუსეთის სამხედრო ტექნიკის მეშვეობით გარკვეული ნაწილები. მაშინ როგორც გითხარით, არ იყო ნათელი ესენი იყვნენ ეგრეთწოდებული, ეგრეთწოდებული მოხალისეები თუ დაქირავებულები ჩრდილოეთ–კავკასიიდან თუ რეგულარული ნაწილები, როგორც შემდეგ გაირკვა ორივე, ისინიც და ისინიც და ჩვენც მოვუწოდებდით რუსეთის ფედერაციის მთავრობას და მოვუწოდებდით მსოფლიოს, რომ განეხორციელებინა პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა რუსეთზე, რათა ეგ აგრესია შეჩერებული ყოფილიყო. სხვათა შორის, ჩვენ ვსაუბრობდით სამხედრო წვრთნებზე, ძალიან საინტერესო არის და ჩვენ გადმოგცემთ იმ პროკლამაციას საინფორმაციო ბარათს, რომელიც ზოგიერთი მონაცემით დაურიგდათ ყველა რუსეთში შეიარაღებული ძალების ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც მონაწილეობდა ამ წვრთნებში. ამ ბარათს ჰქვია, აი, აქ არის ეს ბარათი.

თავმჯდომარე.თქვენ შეგიძლიათ, რომ გადმოგვცეთ ხომ, ეს ბარათი.?

კ.ლომაია. კი, ბატონო, გადმოგცემთ ამას, ჰქვია მთლიანად ეძღვნება საქართველოს, მის შეიარაღებულ ძალებს და მის აგრესიულ "მისწრაფებებს" დასათაურებელ, დასათაურებელია "იცნობდე შენს პოტენციურ მტერს". ესეთი სტამბურად დაბეჭდილი ბარათია, რომელიც დაურიგდა, როგორც ჩანს, ყველა იმ 8000 სამხედრო მოსამსახურეს რუსეთისას, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ წვრთნებში. შესაბამისად, შესაბამისად, მოგახსენებთ, მოგახსენებდით, ხო, აქვე ხელთა გვაქვს ჩვენ ეს მარატ კულახმეტოვის ის მოხსენებითი ბარათი, სადაც ის ადასტურებს სეპარატისტების მხრიდან უკანონო შეიარაღების გამოყენებას. არის კიდევ ერთი აი, ესეთი მინძაევი, ავად და ავადსახსენებელი მინძაევი, რომელიც ხელმძღვანელობდა ბესლანში იმ სკოლის შტურმს, რასაც 350–ზე მეტი ადამიანი სიცოცხლე შეეწირა. შემდეგ ჩამოიყვანეს, თქვენ იცით, ცხინვალში და დღესაც, ეგრეთწოდებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობს. აი, მისი ერთ–ერთი საუბრის ჩანაწერი მოიპოვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელშიც ის საუბრობს სოფელ დვანზე და ამბობს, რომ თუ კიდევ ერთხელ განმეორდა ინციდენტი, სოფელი დვანი აღგვილ უნდა იქნას მიწისაგან პირისა და შემდეგ მარილიც მოვაყაროთო. აი, ეს არის ამ საუბრის ჩანაწერი. ბუნებრივია, ამ ჩანაწერების ორიგინალები არსებობს, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს. მათი ერთი ნაწილი გადავეცით უკვე ჩვენი პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებს, ხოლო სხვა ნაწილი მზად არის იმისათვის, რომ გადავცეთ იმ საერთაშორისო საგამოძიებო კომისიას. ბუნებრივია, გადმოგეცემათ თქვენ მოთხოვნის, პირველი მთხოვნისთანავე, რომელიც შეიქმნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი არის ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, 7 აგვისტოს,

დაახლოებით შუადღე, შუადღით არის დათარიღებული, სადაც ამბობს, მე ვციტირებ: "მთელი პასუხისმგებლობა უკანასკნელ დროს განვითარებულ მოვლენებზე ეკისრება რუსეთს. სწორედ რუსეთის ტერიტორიიდან როკის გვირაბის გავლით გრძელდება დაქირავებულ მებრძოლთა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებულ შეიარაღებების შემოსვლა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება რეიდები ცხინვალის რაიონის მშვიდობიან სოფლებზე". ეს არის ციტატა ჩვენი საგარეო საქმეთა განცხადებიდან 7 აგვისტოსი.

ასევე ძალიან საინტერესო დადასტურება იმისა, რომ 7 აგვისტოს იქ უკვე იმყოფებოდნენ რუსეთის უკვე რეგულარული ნაწილები, ეს გახლავთ ბი–ბი–სი–ს მონიტორინგის მონაცემები. აფხაზეთის ..... აფხაზეთის ლიდერი ამბობს, რომ რუსული ნაწილები უკვე სამხრეთ–ოსეთში იმყოფებიან. ისევ ციტატა: "თვითაღიარებული რესპუბლიკის აფხაზეთის ლიდერმა ბაღაბშმა განაცხადა, რომ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში სამხრეთ – ოსეთში რუსული სამხედრო ბატალიონი შევიდა". ვიმეორებ, ეს არის 7 აგვისტო, 16 საათი მოსკოვის დროით. მისი ეს განცხადება, გაკეთებული აფხაზეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 7 აგვისტოს გადაიცა რუსეთის სახელმწიფო არხით "რასია"–ს მიერ და შემდეგ არის ციტატა, თვითონ ბაღაბშის. "მე ვესაუბრე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს. სიტუაცია, მეტ–ნაკლებად სტაბილურია. ჩრდილო–კავკასიის სამხედრო ოლქის ბატალიონი უკვე იქ არის". ეხლა, დაახლოებით ათას ჯარისკაცზე იყო საუბარი. სხვა მონაცემებიც არსებობს, რომელიც ადასტურებს სწორედ აი იმას, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ანუ იმას, რომ უკვე 7 აგვისტოს დილიდან, იქ, პრაქტიკულად, რუსული რეგულარული ძალების ნაკადი შევიდა.

თავმჯდომარე.ბატონო კახა, როდესაც ხედავდით, რომ სიტუაცია ასე იძაბებოდა აგვისტოს მოვლენებამდე, რატომ არ იყო შემუშვებული უშიშროების საბჭოს მიერ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა იმიტომ, რომ ვიცით, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საქართველოში არ არსებობს. ამაზე რატომ არ იყო მსჯელობა და ეგებ იყო მსჯელობა და რაღაც იყო დაგეგმილი, რაღაც ღონისძიებები იმიტომ, რომ ფაქტიურად, ჩვენ აგვისტოს მოვლენებმა გვაჩვენა, რომ სამოქალაქო თავდაცვის სისტემა საქართველოში არ არის.

კ. ლომაია. მე ნაწილობრივ დაგეთანხმებით. სამოქალაქო თავდაცვის სისტემას მეტი ყურადღება სჭირდება და მე ვფიქრობ, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმებში მან ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. როგორც გითხარით, სრულმასშტაბიანი აგრესია და სრულმასშტაბიანი ოკუპაცია, ნამდვილად არ განიხილებოდა არც ჩვენ და არც ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ, როგორც რეალისტური სცენარი. თუმცა კი, როდესაც ჩვენ დავუბრუნდებით უსაფრთხოების კონცეფციას, იქ ვისაუბრებთ ამაზე. თუმცა კი, რაც შეეხება ძალიან საბაზისო, ძირითად რჩევებს, ასეთი რჩევები გამოცხადდებოდა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ დავრწმუნდებოდით, რომ უშუალოდ დიდ ქალაქებზე მასირებული შეტევა, მათ შორის, საცეცხლე ან ავიაშეტევები გარდაუვალი იყო. ასეთი განცხადება, თქვენ იცით, რამდენჯერმე გაკეთდა, მაგრამ გეთანხმებით, სამოქალაქო თავდაცვა გაცილებით მეტ ყურადღებას საჭიროებს და ახლა უკვე, როდესაც ჩვენ სრულმასშტაბიანი აგრესიის მსხვერპლნი გავხდით და პრაქტიკულად, ვიმყოფებით ჩვენი ტერიტორიების ნაწილის ოკუპირებულ რეჟიმში, რა თქმა უნდა, მეტი, მეტი ყურადღება არის საჭირო, სწორედ სამოქალაქო თავდაცვისათვის.

თავმჯდომარე.დიმიტრი ლორთქიფანიძე.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო კახა, ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობა რეგულირდება ორგანული კანონით. ამ ორგანული კანონის მე–2 მუხლის "ა" ქვეპუნქტით, განსაზღვრულია, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო უზრუნველყოფს ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას. შესაბამისად, დღეს არსებული კონცეფციის ერთ–ერთ მნიშვნელოვან საკითხად განსაზღვრული არის სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, ხოლო, თავის მხრივ, სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის ამაღლება დგას ორ ძირითად მიმართულებაზე, აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ეს გახლავთ სამობილიზაციო სისტემის რეფორმა და სამოქალაქო თავდაცვის განვითარება.

სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებით თქვენ ისაუბრეთ, მე მინდა შეგეკითხოთ სამობილიზაციო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, საკითხი ეხება რეზერვისტების მომზადების სისტემის განვითარებას და ამ საკითხში რეფორმირებას.

აქვე მინდა დავამატო სამოქალაქო თავდაცვის სისტემასთან, ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. საქართველოში, საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ერთადერთი, პასუხს ვაგებ, რომ ეს არის ნამდვილად ერთადერთი სპეციალისტი, უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე, ეს გახლავთ ყოფილი სამოქალაქო თავდაცვის შტაბის ხელმძღვანელი, ბატონი ჯუმბერ ხაბურზანია, პოლკოვნიკი, რომელიც, სამწუხაროდ, უმუშევარია დღესდრეობით. ეს არის ახალგაზრდა კაცი, მისი სტატია გამოქვეყნდა გაზეთ "ვერსიაში" სწორედ ეს გახდა საფძველი იმისა, რომ ჩვენ, მე პირადად გარკვეული მომზადება გავიარე ამ კუთხით, რომ, შესაბამისად, კვალიფიციური ყოფილიყო ჩემი კითხვები დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართ, საგარეო უწყების ხელმძღვანელის მიმართ და თქვენს მიმართაც. მე,

უბრალოდ, მინდა საზოგადოებისთვის უფრო ნათელი გახდეს აი, დღევანდელი არსებული კონცეფციით, ასეთი ამონარიდია სამოქალაქო თავდაცვასთან მიმართებაში, რომ: "სამოქალაქო თავდაცვა უნდა იყოს სახელმწიფო თავდაცვის სისტემის მხარდამჭერი მექანიზმი, სერიოზული საფრთხის ან კრიზისის დროს, იგი მოამზადებს მოქალაქეებს თავდაცვისთვის და უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური და კულტურული პასუხისმგებლობის დაცვას, საგანგებო სიტუაციის შედეგად მიღებული ზარალის შემცირების ან ლიკვიდაციის გზით". ჩვენ, მე,უბრალოდ, აღარ განვმეორდები, თქვენ საკმარისად ვრცელი მოცულობის ახსნა–განმარტება მოგვეცით ამასთან დაკავშირებით, თუ შეიძლება რეზერვისტების მომზადებასა და ამ საკითხში რეფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონო ნიკა, ოღონდ გვარი, სახელი დავასახელოთ..

ნ.ლალიაშვილი. ბატონო კახა, მაინც ეტყობა მე ვერ მოვისმინე კარგად. ანუ მე მაინტერესებს, თვითონ კონფლიქტის პერიოდში თქვენ აი, ამ სამი ბლოკიდან რომლის კოორდინაციას ახდენდით. მაინტერესებს, ასევე, როგორ ხდებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემა, აი, მაგალითად, ქალბატონი ზღულაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვისგან იღებდა ინფორმაციას, ათანხმებდა თუ არა იმ ინფორმაციას, რომელსაც გასცემდა საჯაროდ თქვენთან ან სხვა, ვთქვათ, რომელიმე თანამდებობის პირთან და ასევე, მაინტერესებს იცოდით თუ არა იმის შესახებ, რომ სწორედ მაშინ, როდესაც, ასე ვთქვათ, გარდაუვალი კონფლიქტის წინათგრძობა უკვე თითქმის ყველა მაღალი თანამდებობის პირს ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში იმათ, ვისაც ჩვენ აქამდე ვესაუბრეთ, ეს ნამდვილად ჰქონდათ და დიდი საწინარსწარმეტყველო ამაში არაფერი იყო. მაშინ, როდესაც ტარდებოდა "კავკაზ 2008", რომელსაც აბსოლუტურად შეცვლილი ტაქტიკური ამოცანები ჰქონდა, რაც დაადასტურა დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა. აი, სწორედ ამ დროს, ამ 7 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე, რამდენი კვირით ადრე, განხორციელდა თავდაცვის სამინისტროში სეროზული საკადრო ცვლილებები. კერძოდ, შეიცვალა სამივე ბრიგადის მეთაური და თუ ჰქონდა ეს ინფორმაცია, თქვენ რა რეაგირება მოახდინეთ ამაზე. გმადლობთ.

კ.ლომაია. საჯარო იმფორმაცია და საკადრო ცვლილებები თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის მინისტრი იქნება თქვენთან გენერალური

შტაბის უფროსი და, ალბათ, უფრო კომპეტენტურ პასუხებს მათგან მიღებთ.

საჯარო იმფორმაციას რაც შეეხება. ჩვენთან მთელი კონფლიქტის განმავლობაში და დღემდე, ფუნქციონირებს ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა უწყებებიდან და ყველა ჩართული უწყებებიდან შეგროვების მექანიზიმი. სწორედ მის შედეგად თქვენ დაგირიგდათ დისკები და აი, ხელთა მაქვს, ეს არის დაახლოებით 150 – გვერდიანი პაკეტი ინფორმაციის. ყველა ასპექტზე, დაწყებული იძულებით გადადგილებული პირებით, განათლებით, ეკოლოგიით, წმინდა სამხედრო ასპექტებით, მედია, ეთნიკური წმენდა და ა.შ. და ამ პაკეტის განახლება ხდება კვირაში ორჯერ რეგულარულად.

და გარდა ამისა, ჩვენ გამოვცემთ ახალ ამბებს, ეს არის 2 – გვერდიანი დოკუმენტი სამ ენაზე. გამოიცემა რუსულად, ინგლისურად და ქართულად, რომელიც ასახავს ყველა ძირითად, რომელიც ვითარების, განვითარებისა, უკვე აგრესიის პირობებში. ისე რომ, შემიძლია გითხრათ, რომ საჯარო ინფორმაცია, მთელი თავისი მოცულობით, თავს იყრიდა და იყრის ჩვენთან და სწორედ აქედან ვრცელდება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, პრაქტიკულად, ყველა ძირითად საინფორმაციო საშუალებაში უცხოეთ, უცხოეთ, ნუ, ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე რომ, საჯარო, საჯარო ინფორმაცია, აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო, არც ერთი წუთით არ იყო რაიმე დაფარული.

ეხლა გარდა ამისა, თქვენ კარგად გესმით სენსიტიური ინფორმაციისა, რაც შეეხება რეზერვის სისტემისადმი დამოკიდებულებას. ასე რომ, ალბათ, ამ საქმის ტექნიკურ ასპექტებზე მოგახსენებენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და გენერალური შტაბის. ჩემი მხრიდან, მე შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო ერთ–ერთი, ერთ–ერთი იმ შემადგენელი ნაწილისგან, რომელიც კონცეპტუალურ დონეზე არ იყო, ჩემი აზრით, კარგად გააზრებული. კონცეპტუალურ დონეზე არა, არა მხოლოდ, ასე ვთქვათ, მისი იმპლემენტაცია, არამედ კონცეპტუალურად არის გასააზრებელი ხელახლა რეზერვისტთა სისტემა. როგორც ჩანს, თვითონ კონცეფციაში არ იქნა გათვალისწინებული ის შესაძლო რეალობები, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით. ამიტომ თუ, თუ ერთ–ერთ ნაკლზე, ხარვეზზე გნებავთ, შეცდომაზე არის საუბარი, ალბათ, ჩემი აზრით, ერთ–ერთი იქნება. თუმცა კი კომისიის, კომისიის დასკვნა, ალბათ, უფრო მოცულობით პასუხს მოგვცემს. ეს არის პირველი, პირველადი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური შეფასება, რაც უკვე გაისმა და მე შემიძლია ამას მხოლოდ, შემიძლია მხოლოდ დავადასტურო.

რაც შეეხება თქვენს კითხვას იმაზე, თუ რომელი, რომელი მიმართულებების კოორდინაცია ხდებოდა, შემიძლია გითხრათ, რომ, პრაქტიკულად, ეროვნული უშიშროების საბჭოში 7 აგვისტოდან მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა უწყების ხელმძღვანელი იკრიბებოდა რეგულარულად ან წარმომადგენელი, ვთქვათ, ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ბუნების დაცვის სამინისტრო, აღარაფერს ვამბობ, ეგრეთწოდებულ, ძალოვან უწყებებზე და ინფორმაციის შეჯერება, დაზუსტება და რეკომენდაციების შემუშავება არასამხედრო ხასიათის არა ოპერატიული რეკომენდაციების, თქვენ კარგად იცით, რომ ეს სცილდება უშიშროების საბჭოს აპარატის კომპეტენციას, ხდებოდა სწორედ ეროვნული უშიშროების საბჭოში და მისი აპარატის მეშვეობით.

ეხლა იქ, თქვენი კონკრეტული კითხვა იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რა წყაროებს ეყრდნობოდაო. ეყრდნობოდა, ალბათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს წყაროების, კონკრეტულად რომელ გამოსვლას გულისხმობთ, არ ვიცი, ბევრი გამოსვლა იყო იმ დღეების განმავლობაში. როგორც წესი ეს იყო შეჯერებული ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვქონდა, როგორც თავდაცვის სამინისტროდან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროდან. თუმცა კი კარგად გესმით, რომ მაშინ, როდესაც სამხედრო თეატრი პრაქტიკულად ყოველ, ყოველი საათის განმავლობაში ფართოვდებოდა სანდო, გადამოწმებული ინფორმაციის მიღება, საკმაო პრობლემებთან არის დაკავშირებული ყოველთვის. შესაძლოა იყოს უზუსტობები, მე ვერ ვიხსენებ აი, ასეთ უზუსტობას. მაგრამ მთლიანობაში ეს იყო კოორდინირებული მუშაობა, როგორც თავდაცვის სამინისტროსი და შინაგან საქმეთა სამინისტროსი ეროვნული უშიშროების საბჭოს ბაზაზე.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, იმიტომ დაისვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უწევდა ამ ჯგუფებს კოორდინაციას. იმიტომ, რომ თქვენ აღნიშნეთ თვითონ, რომ უშიშროების საბჭოში ხდებოდა მინისტრების შეკრება, გადაწყვეტილების მიღება ამ მოვლენების პერიოდში და წინა მოვლენების დროს ღიად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობას არ მიუძღვნია სხდომა ამ მიმართულებით და ამიტომ იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი გაგვეგო, თუ სად ხდებოდა ამის აკუმულირება, ხდებოდა უშიშროების საბჭოში თუ სხვაგან და, მე ვფიქრობ, რომ შემდგომი მუშაობისათვის ღიად უკვეთ ჩანს, რომ კოოდინირებული ინფორმაციის მოგროვება და, ვთქვათ, გადამოწმებული ინფორმაციის გამჟღავნების სისტემა არ იყო ჩამოყალიბებული რეალურად იმ ჩვენებების, რასაც ჩვენ ვღებულობთ უკვე თანამდებობის პირებისაგან. ალბათ, უკეთესი იქნება, თუ შემდგომისათვის უშიშროების საბჭოში, როგორც დებულებითაა გათვალისწინებული, ასე, თუ შეიძლება ლოკომოტივი ამისა უშიშროების საბჭო რომ იყოს, იმიტომ, რომ ფაქტიურად, ის აგრესია დამთავრებული არ არის და რეალურად, ჩვენ ვგებულობთ, რომ თქვენ უწყებაში ხდება აკუმულირება საბოლოო ინფორმაციის მაინც და ამიტომ შემდგომისათვის კარგი იქნება თუ ეს საკითხები იქნება გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ეს რეკომენდაციებში იქნება ასახული ბატონ ...

——— ბატონო კახა, კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან არის დაკავშირებული. კონფლიქტის პერიოდში უშუალოდ და გარკვეული პერიოდის მანძილზე კონფლიქტის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ, მთელი რიგი ვებგვერდებისა რატომღაც თბილისში გახდა ძნელად ხელმისაწვდომი. ხომ არა გაქვთ ინფორმაცია რატომ ხდებოდა ეს და რა იყო ამის მიზეზი? გმადლობთ.

კ.ლომაია. უკაცრავად, რუსულ ვებგვერდებზე საუბრობთ. სხვა არც ერთი ვებგვერდის ბლოკირება არ მომხდარა. თქვენ იცით, რომ ხელმისაწვდომობას ამა თუ იმ საიტისადმი უზრუნველყოფენ კერძო პროვაიდერები და სწორედ კერძო პროვაიდერთა ინიციატივით, არა ყველასი, სხვათა შორის, იყვნენ პროვაიდერები, ბევრი, რამდენიმე, რომლებიც, რომელთაც არ დაუბლოკავთ ხელმისაწვდომობა, მაგრამ მთლიანობაში ეს მათი გადაწყვეტილება იყო და რამდენად ჩემთვის არის ცნობილი, ეს გადაწყვეტილება ახლა უკვე გაუქმებულია და ხელმისაწვდომობა თავისუფალია. ასე, რომ თუ თქვენ იმას გულისხმობთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურას ხომ არ ჰქონდა ამაში როლი, არ ჰქონია. თუმცა კი თქვენ იცით, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, რომ შესაბამისი ბრძანების გამოცემით სამხედრო მდგომარეობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ზომები მიიღოს, მაგრამ ასეთი ზომები არ ყოფილა მიღებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იმ პროვაიდერების ინიციატივა იყო, ზოგმა ეს ჩათვალა თავის სამოქალაქო ვალდებულებად, ვინაიდან გვესმის, რომ როგორც მთლიანად მედია სივრცე ასევე ინტერნეტსივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება რუსეთის ხელისუფლების მიერ და გამოიყენებოდა, სხვათა შორის, მათ შორის, საქართველოს მიმართ მიზანმიმართული პროპაგანდისტური ომის საწარმოებლად. ერთ–ერთი ეს ინტერნეტს არ უკავშირდება, უკავშირდება ტელეარხებს, შემიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე გავლენიანი ანალიტიკოსის დასკვნები არსებობს, რომ ნაწილობრივ მოტივირება იმ სისასტიკეებისა, რომელიც ჩადენილი იქნა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, მოხდა სწორედ რუსული არხების მიზანმიმართული პროპაგანდის შედეგად. როდესაც პირველ, პირველივე ღამეს მათ განაცხადეს, რომ თითქოსდა 2000–ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა ცხინვალში ქართული შეიარაღებული ძალების მოქმედების შედეგად, რაც, რა თქმა, უნდა მტკნარი სიცრუეა. აი, ამან მოახდინა, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ამან მოახდინა ვითარების ესკალაცია და შემდეგ, ნაწილობრივ, სწორედ, აი, ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას უნდა დაბრალდეს ის მასობრივი ეთნიკური წმენდები, რომლის შემდეგ განხორციელდა ქართულ

სოფლებში. ამ კონკრეტულ კითხვაზე კი პასუხი მოგახსენეთ.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ჩვენთან ინფორმაციის მიღების პერიოდში თქვა, რომ მან მიაწოდა ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს და უშიშროების საბჭოს, რომ რომელიღაც კომპანიის უკან, რომელიც ახორციელებდა რაღაც ობიექტების შესყიდვას საქართველოში, იდგა რუსეთის დაზვერვის ინტერესები და მან არ იცის შემდგომ, თუ რა განხორციელდა ამ მიმოსვლით, თქვენ, ხომ არ ფლობთ ინფორმაციას რომელ კომპანიაზეა საუბარი და უშიშროების საბჭოზე იყო თუ არა ამაზე საუბარი. განხორციელდა შესყიდვა და თუ არა და ამ ფაქტთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაგაჩნიათ.

კ.ლომაია. რის შესყიდვაზე იყო, ბატონო პაატა?

თავმჯდომარე. როცა ჩვენ კითხვა დავუსვით დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ჰქონდა თუ არა მას ინფორმაცია თუ ვინ ჰყავდა მოკავშირეები რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე ან რაღაც სხვა ქმედებებთან დაკავშირებით, ღია მოსმენაზე, ბატონმა ბეჟუაშვილმა, ახსენა, რომ მან მიაწოდა ინფორმაცია, მაგალითად მოიყვანა, მიაწოდა ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს და უშიშროების საბჭოს, რომ რომელიღაც კომპანიის უკან, რომელიც ახორციელებდა, პრივატიზაცია უნდოდა საქართველოს ტერიტორიაზე, რაღაც ობიექტების ენერგო . . . დაკავშირებით. ამის უკან იდგა რუსეთის დაზვერვა, ასე ვთქვათ, პირობითად, დიდი ინტერესები იყო. თქვენ თუ ფლობთ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას?

კ.ლომაია. ერთადერთი, რაც, რაც შემიძლია მოგახსენოთ ამ საკითხზე, ეს არის, უკვე აგრესიის სამხედრო ფაზის დამთავრების შემდეგ, მართლაც ასეთი, ერთ–ერთი ასეთი ინფორმაცია შემოვიდა საგარეო დაზვერვის სამსახურიდან, ეხლა შემოწმების სტადიაშია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფო ვართ, ჩვენი კანონები ლიბერალური კანონებია, მათ შორის, ეკონომიკაში ლიბერალურ გარემოს ქმნის და ეხლა არ ვიცი, შეიძლება რომელიმე ფირმის უკან ვინ დგას, მაგრამ, ღიად, თქვენ იცით, რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივს ჩვენთან რუსული კომპანიები ფლობენ და ჩვენ არ შევხვედრივართ რაიმე პრობლემებს ან ჩვენი მოსახლეობისთვის არ შეუქმნიათ მათ რაიმე პრობლემები უშუალოდ ომის მიმდინარეობის დროს. არ შეუქმნიათ, ეხლა არ დავასახელებ, ყველასთვის ცნობილია, ეს რუსული კომპანიები. ხოლო იმ კონკრეტულ ინფორმაციაში, საუბარი მიმდინარეობდა არა პრივატიზაციაზე, არამედ სხვა სახის კომერციულ შეთანხმებაზე და როგორც მოგახსენებთ, შემოწმების ფაზაში არის ეს ინფორმაცია.

თავმჯდომარე. ეს კითხვა იმიტომ დაგისვით, რომ უშიშროების საბჭო ფლობდა თუ არა ინფორმაციას. რა თქმა უნდა, ამ კითხვას დავუსვამთ ეკონომიკის მინისტრსაც, მაგრამ, პასუხი, რადგან საჯარო მოსმენაზე იყო ასეთი კითხვა, პასუხი გაცემულია დაზვერვის დეპარტამენტის მხრიდან, იმიტომ დაგისვით კითხვა. გმადლობთ. თუ ვინმეს აქვს შეკითხვები, ბატონ გაბაშვილს.

გ.გაბაშვილი. ბატონო კახა,თქვენ ბრძანეთ, რომ 7-ში უკვე დილას, უკვე როცა იყო ინფორმაცია მასობრივი შემოჭრის შესახებ, როკის გვირაბში, პირველ საათზე 7-ში გაიმართა შეხვედრა უშიშროების საბჭოს წევრებისა, სადაც იყო მსჯელობა სიტუაციაზე და სადაც ითქვა, რომ გადმოლახულია მნიშვნელოვანწილად წითელი ხაზები, რომლის შემდგომაც იყო კიდევ ერთი მცდელობა, რომ ბატონი იაკობაშვილი გაგზავნილი იქნა ცხინვალში. ამ მსჯელობისას თქვენ შეაჯერეთ თუ არა, ვთქვათ, აი ის ვერსიაც, ჩვენ რომ აი ამ წითელი ხაზის გადმოლახვის შემდგომაც, აი ამ მასობრივი შემოჭრის შედეგად შემოსული ძალებისთვის არ გაგვეცა პასუხი. ანუ, რა, რა ქმედებისთვის იყო საკმარისი ის ძალები, რომელიც იყო საქართველოში, რა საფრთხეს წარმოადგენდნენ ეს ძალები, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ პასუხს არ გავცემდით.

კ.ლომაია. სრულიად ნათელი იყო, რომ აგრესია დაწყებული იყო იმ მომენტში. კარგად გესმით ძალიან, რთული შესაფასებელია, რომ, რა მასშტაბებს მიიღებს. ფაქტია, რომ ეს იყო შემოჭრა, ფაქტია, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის რეგულარული ნაწილები. ფაქტია ის, რომ იმ მომენტისთვის, უკვე ჩვენ მსხვერპლი გვქონდა და ესკალაციამ ძალადობისა, სეპარატისტების მხრიდან პიკს მიაღწია და აი ამ ფაქტორების კომბინაციამ, კომბინაცია დაედო საფუძვლად ჩვენს შეფასებებს. ეხლა ამის შემდეგ თქვენ იცით, კიდევ რამდენიმე საათი გავიდა, ანუ, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, და კიდევ რამდენჯერმე სცადა ვითარების დაბრუნება მშვიდობიან კალაპოტში. პირველი ეს იყო ბატონი იაკობაშვილის მივლინება ცხინვალში, მეორე ოყო რამდენიმესაათიანი ცალმხრივი გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ანუ კიდევ რამდენიმე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, ნათელი იყო, რომ აგრესია შეუქცევადი იყო, მიუხედავად ამისა, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სამწუხაროდ, ეს, ამ ნაბიჯებმა არ გამოიღეს შედეგი. დღევანდელი გადასახედიდან ცხადია, რატომაც. დღევანდელი გადასახედიდან ცხადია, რომ უბრალოდ, ამოქმედდა ის გეგმა, რომელიც იყო რამდენიმე თვის წინ შემუშავებული და რომლის მოძრაობაში მოყვანას სჭირდებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. პოლიტიკური

გადაწყვეტილება შეიძლება ითქვას, რომ თავხედური და ცინიკური, მაგრამ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ის, რომ რუსეთს სამხედრო რესურსები გააჩნდა საქართველოს და კიდევ რამდენიმე ჩვენი, ჩვენი ზომის ქვეყნის დასამარცხებლად, გასაგები იყო ყოველგვარი, ასე ვთქვათ, გამოცდის გარეშე. მაგრამ ეყოფოდა მას თუ არა ცინიზმი და თავხედობა იმისათვის, რომ ეს გეგმები აემოქმედებინა, აი, ეს კითხვა, რა თქმა უნდა, ეს კითხვა პასუხგაუცემელი იყო. და პასუხგაუცემელი იყო არამხოლოდ ჩვენთვის არამედ, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ, ჩვენთვის პასუხი დადებითი აღმოჩნდა. დიახაც, მათ ეყოთ თავხედობა, რომ ესეთი გადაწყვეტილება აემოქმედებინათ. მასშტაბებზე საუბარი 7–ში დღის განმავლობაში ძალიან რთული იყო. თუმცკი როგორც თითოეული თქვენგანისთვის ცნობილია, 9–ში ჩვენ უკვე რეალურად დავინახეთ ეს მასშტაბი და ეს მასშტაბი, პრაქტიკულად, ფარავდა მთელს ქვეყანას.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, კონფლიქტის პერიოდში გქონდათ თუ არა თქვენ კავშირი კოდორის ხეობასთან და თუ გქონდათ, ვისთან კონკრეტულად ხეობაში და ვისგან ღებულობდით ხეობიდან ინფორმაციას?

კ.ლომაია. ჩვენ, მე მქონდა კავშირი ბატონ გოროზიასთან და ბატონ აქიშბაიასთან, პრაქტიკულად, დღეში რამდენჯერმე ვუკავშირდებოდით ერთმანეთს და ....

თავმჯდომარე. ბათილი არ არის.

კ.ლომაია. ვიგებდით, ვიგებდით ....

თავმჯდომარე. აქ კოდორის ხეობაზეა საუბარი იმიტომ, რომ კოდორის ხეობაში ბატონი აქიშბაია არ იმყოფებოდა, როგორც ჩვენ ვიცით, მაგრამ ხეობაში ვინმესთან თუ გქონდათ კავშირები.

კ.ლომაია. სხვა ვინმესთან არ გვქონია კავშირი.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო კახა, არსებობს თუ არა საგანგებო და საომარი მოქმედების პირობებში მოქმედების უზრუნველსაყოფად მატერიალურ–ტექნიკური რეზერვებისა და საარსებო მარაგის შესაქმნელად გადაწყვეტილება. თუ შეგიძლიათ, რომ გვითხრათ.

კ.ლომაია. ასეთი გადაწყვეტილებაც არსებობს და ასეთი მარაგიც არსებობდა. მთავრობას ასეთი მარაგი ჰქონდა, ნამდვილად, იმისათვის, რომ, ჰოდა სწორედ ამ მარაგმა იმუშავა. თქვენ იცით, იმ ათი დღის განმავლობაში, როდესაც ბლოკირებული იყო ჩვენი ცენტრალური ავტომაგისტრალი. ასე, რომ მთავრობას ასეთი გადაწყვეტილებაც აქვს და მე შემიძლია გითხრათ, ჩემი წინა გამოცდილებიდან გამომდინარე და ამოქმედებულიც იყო ეს, ანუ ხორცშესხმულიც იყო ეს გადაწყვეტილება.

ა.მინაშვილი. ბატონო კახა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არსებობს კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს არადისკრიმინაციული საარტილერიო დაბომბვა ცხინვალის რეგიონის. რა შეგიძლიათ, ამასთან დაკავშირებით გვითხრათ და კიდევ ერთი საკითხი, კასეტურ ბომბებთან დაკავშირებით. იცით, რომ რამოდენიმე ორგანიზაციამ ახსენა, უფრო სწორად, მოიყვანა ინფორმაცია, რომ ასეთი ბომბები გამოყენებული იყო საქართველოს ხელისუფლების შეიარაღებული ძალების მხრიდან. რა შეგიძლიათ ამაზე თქვათ და ასევე, რა ტიპის იარაღი გამოიყენა, რა ტიპის კასეტური ბომბები და სად გამოიყენა რუსეთის ფედერაციამ საბრძოლო მოქმედებების დროს.

კ.ლომაია. შემიძლია მოგახსენოთ. ყველაზე მეტ კითხვას იწვევს გრადისა და გრადის ტიპის იარაღის გამოყენება. ეს, ჩვენ, ოფიციალურად ახსნილია იმ მასალებში, რომელსაც ჩვენ, რომლითაც ჩვენ რეგულარულად ვამარაგებთ ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებსაც, მასმედიას, ანალიტიკოსებს. გრადის ტიპის იარაღი ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს მხოლოდ "ვერხნი გარადოკის", ე. წ. "ვერხნი გარადოკის", ცხინვალის დასახლებაში, სადაც იყო განთავსებული მათი საარტილერიო სიმძლავრეები და ეს არ არის სამოქალაქო დასახლება, ხოლო რაც შეეხება ცხინვალის ცენტრში, ადმინისტრაციული შენობების უბანში გამოყენებული იქნა თანამედროვე, ზუსტი იარაღი, ე. წ. დანას ტიპის იარაღი, რომელიც სლოვაკური წარმოების არის და წერტილოვან, ზუსტ ზიანს აყენებს სამხედრო ტექნიკას. მეორე, კასეტური ბომბები, მე ვფიქრობ, აქაც გამოვლინდა განსხვავება დემოკრატიულ და არადემოკრატიულ მიდგომებს შორის. ჩვენმა თავდაცვის სამინისტრომ მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, რომ დიახაც, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს ამ ტიპის იარაღი, მაგრამ გამოიყენეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალისათვის ზიანის მისაყენებლად და ეს არის თანამედროვე ტიპის იარაღი, რომელსაც აქვს, ე.წ. თვითგანადგურების მექანიზმი. ანუ, ის, თუ არ აზიანებს უშუალოდ სამიზნეს, ის შემდეგ თვითონ ნადგურდება, თვითონ ფეთქდება და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს არა აქვთ არც ერთი მონაცემი იმის შესახებ, რომ ეს იარაღი

ჩვენი მხრიდან გამოყენებული იქნა დასახლებულ ზონებში. ხოლო, რაც შეეხება რუსეთის მხრიდან გამოყენებას აქ ჩვენ პირიქით გვაქვს სურათი, ანუ არის დადასტურება უფლებადაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იმისა, რომ რუსეთმა გამოიყენა ეს იარაღი დასახლებულ ზონებში, კერძოდ, გორის რაიონის სოფლებში, მაგრამ ამას რუსეთის თავდაცვის სამინისტრო არ აღიარებს. აი ასეთი ვითარება არის კასეტური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე.თუ არის შეკითხვები, თუ არადა დახურული ინფორმაციის მოწოდება სურს ბატონ კახას და დავხუროთ.

ა.მინაშვილი. ერთ კითხვასაც დავამატებ, საბრძოლო მოქმედების აქტიური ფაზის შეწყვეტის შემდეგ დაახლოებით 12 აგვისტოს მერე თქვენ იყავით დიდი ხნის განმავლობაში გორში და კარგად იცნობთ იქაურ გარემოებას. რა შეზღუდვის წესები არსებობდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მხრიდან, როგორც ჰუმანიტარული დახმარების, ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობისათვის და იყო თუ არა ეთნიკური წმენდის კიდევ დამატებითი ტალღები მას შემდეგ, რაც შეიარაღებული, აქტიურ შეიარაღებულ ფაზაში პროცესების ფაზა შეწყდა.

თავმჯდომარე. ბატონო კახა, დავამატებდი მეც. ფაქტიურად, დღეს ჩანს, რომ აგრესია გრძელდება და თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი იმ აგრესიის ფონზე, რაც ეხლა ხდება, იმ ესკალაციის ფონზე, რაც ხდება, არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები რუსეთის მხრიდან, უფრო სწორად, პროვოკაციები იქნეს გაგრძელებული საქართველოს წინააღმდეგ?

კ.ლომაია. ბატონო აკაკი, თქვენი კითხვის მეორე ნაწილი იყო გორის ოკუპაციის შემდეგ თუ გაგრძელდა ეთნიკური წმენდები და პირველი იყო შეზღუდვები ჰუმანიტარული დახმარების. დიახ. თქვენი კითხვით დავიწყებ, აგრესიის გაგრძელება. დღეს კონკრეტული მინიშნება სამხედრო ხასიათის, რომ მათ შეუძლიათ აგრესიის გავრცობა, ოკუპაციის გავრცობა საქართველოს სხვა ტერიტორიებზე ,ჩვენ არ გვაქვს, თუმცა კი აქ არის ერთი "მაგრამ", ეს არის რუსეთის არაპროგნოზირებადობა. ასეთი ინფორმაცია არც ჩვენ, არც არც ერთ სხვა მსოფლიო სადაზვერვო სამსახურს არ ჰქონიათ, რომ მათ შეეძლოთ საქართველოს სრულმასშტაბიანი აგრესიის და მისი ტერიტორიის პრაქტიკულად, ნახევრის ოკუპაცია, არც მაშინ 7 აგვისტოს, არც 9 აგვისტოს, თუმცა კი ეს განხორციელდა. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთზე ,ახლა უკვე 100%–იანი გარანტია გვაქვს, რომ ეს არის არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილების მიღება, ბევრი ირიბი წყაროს შესაბამისად, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, პასუხი არის, რომ კონკრეტული ნიშნები არ გვაქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევრომონიტორები იმყოფებიან და ეს საგრძნობლად ამცირებს რისკს მათი მხრიდან აგრესიის განვრცობისა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ევრომონიტორების მისიამ, ძალიან მკვეთრი განცხადებები გააკეთა. თქვენ იცით, მან მოსთხოვა რუსეთს მეტი დასაბუთება თავისი, მისი ბრალდებებისა, რომ ,თითქოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ან მისი სხვა შეიარაღებული შენაერთები რაღაც კონცენტრაციებს ახორციელებენ, მან თქვა ,რომ ამგვარ რამეს ადგილი არ აქვს და თქვენ იცით, სერიოზული კრიტიკაც კი დაიმსახურა, რუსეთის საგარეო სამინისტროს მხრიდან. ამიტომ კონკრეტული მინიშნება , კონკრეტული ნიშანი იმისა ,რომ აგრესია შეიძლება გაგრძელდეს, ჩვენ არ გვავს, თუმცკი გასაგებია, რომ დღეის ამას იქით, როდესაც რუსეთზეა საუბარი, არაპროგნოზირებადობა მათი უნდა ჩაიდოს, როგორც რაღაც მუდმივა ყველა გადაწყვეტილების მიღებაში. გორს რაც შეეხება. ერთხელ მე მოგახსენეთ, ერთ –ერთ წინა კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, როგორი ირიბი მინიშნებები გვქონდა თვითონ რუსებისგან იმისა, იგეგმებოდა თუ არა ეს. მე შემიძლია გითხრათ, არის ასეთი გენერალი კოლპაჩენკოვი, რომელიც ფსკოვის დივიზიიდან არის ,ისევე როგორც გენერალი ბორისოვი. მან ერთ– ერთი საუბრისას, საუბრის დროს პირდაპირ მითხრა,სამწუხაროდ, არ მქონდა რაიმე ჩასაწერი მოწყობილობა ,თორემ ჩავიწერდი,პირდაპირ მითხრა ,რომ როდესაც მე ვკითხე, რომ როგორ მოიფიქრეს ასეთი სრულმასშტაბიანი აგრესია, როგორ დაგეგმეს, როგორ მიიღეს ეს გადაწყვეტილება იმიტომ, რომ თქვენ კარგად იცით მათი ტაქტიკა, რომ წინა წინადადებაში შეიძლება სიყვარულს და ძმობას გეფიცებოდეს და შემდეგ მოქმედება იყოს ის, რაც იყო. მან თქვა, რომ შეხედეთ რუკას, საქართველო არის ძალიან ადვილად შეღწევადი ქვეყანა, თქვა მან. სხვათა შორის, ეს ტერმინი პირველად გავიგე სახელმწიფოსთან მიმართებაში. ყველაფერი ,რაც თქვენ უნდა გააკეთოთ, არის ის ,რომ გაჭრათ ის 2 ნაწილად, შემდეგ დაბომბოთ მისი მთავარი პორტები, საზღვაო პორტები და საჰაერო პორტები და შემდეგ დავჯდეთ და დაველოდოთ როგორ ჩამოაგდებს მთავრობას აღშფოთებული მოსახლეობა. აი ეს იყო, რაც სიტყვასიტყვით მან მითხრა, გენერალმა კოლპაჩენკოვმა, თუ გაიგებს ჩემს სიტყვებს, ალბათ, დამიდასტურებს. მაგრამ ეს არის რეალურად, რაც მან თქვა. მეორე, ასე ვთქვათ, რაც აღმოხდა უკვე გენერალ ბორისოვს იყო, როდესაც ჩვენს , ასე ვთქვათ, ჩვენი სამხედროების უნარებზე საუბრობდა, მან თქვა ასეთი რამ, რომ 2 კომპონენტს გამოვყოფდიო, პირველი, ეს არის არტილერია, და მეორე, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა. თქვა, რომ თქვენი არტილერიის ნამუშევარი შეგიძლიათ ნახოთ ჯავასა და როკის უღელტეხილს შორის და ეს მონაკვეთი გადაიქცა ჩვენი სამხედრო ტექნიკის სასაფლაოდ და ჩვენი სამხედრო მოსამსახურეებისო და ჰაერსაწინააღმდეგოზე კი თქვა, რომ იმ პერიოდში, რა დროის განმავლობაშიც გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედებები, რუსეთის არმიას ამგვარი მასშტაბის დანაკარგები არ განუცდია ავღანეთის შემდეგო. აი ეს არის, თქვენი საზოგადოების მხრიდან

დასმულ კითხვებზე. ერთ-ერთი კითხვა მე მგონი, იყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, რამდენად ეფექტური იყო.

თავმჯდომარე. ამ კითხვას გენერალურ შტაბს დავუსვამ, მაგრამ, თქვენ ძალიან სწორად აღნიშნეთ, რომ საზოგადოებაში ეგ კითხვა ან მუსირებს, მუსირებს იმ თვალსაზრისით, რომ ვთქვათ, იმ საჰაერო სივრცით დარღვევები როცა ხდება, და ხდება ეხლაც ახალგორის მიმართულებით, რატომ არ ხდება ვთქვათ, გამოყენება ვთქვათ,იგივე ეგრეთწოდებული სტინგერების ვთქვათ, უფრო ადრე ადვილად გადასატანი სარაკეტო დანადგარების, და ერთ კითხვას ჩვენ თავდაცვის სამინისტროს დავუსვამთ, მაგრამ, თქვენც როგორც უშიშროების საბჭოს მდივანის, რომ აღნიშნავთ ამას, ძაან მნიშვნელოვანი არის.

კ.ლომაია.დღეს რატომ არ ხდება, მე მგონი, ნათელია, ჩვენ, ჩვენ ვალდებული ვართ, რომ იმ საერთაშორისო შეთანხმებას ვუერთგულოთ, და კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ ყველამ დაინახოს, რომ საქართველო ყველა თავისი საერთაშორისო ვალდებულების ერთგულია, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთის ფედერაციაზე, და ეს სწორედ, ასე ფიქსირდება.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, გორის, გორზე მინდა დაგიდასტუროთ, რომ ეთნიკური წმენდის ფაქტები გრძელდებოდა მას შემდეგ, რაც რუსებმა გორი დაიკავეს, და ჩვენ, და ბევრი ადამიანი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, მედიცინის მუშაკი, სასულიერო პირი, ჟურნალისტები, ვინც იქ იყვნენ ამ დღეებში, იმ დღეებში, ამის მოწმენი ვიყავით, ჩვენ ვესაუბრებოდით, სხვათა შორის, ჩვენს პროკურატურას, აბსოლუტურად ყველაფერი ეს დოკუმენტირებულია, მათ აუდიო, ვიდეო მასალა და ჩვენებები ,აი ცხელ ნაკვალევზე, როგორც იტყვიან, აღებული აქვთ. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ არც ერთი კონკრეტული დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება. რაც შეეხება მათი მხრიდან ჰუმანიტარული დახმარების შეზღუდვას, მე ასევე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ სისტემური ხასიათი ჰქონდა. თუმცა კი იყო შემთხვევები, როდესაც რაღაც თხოვნის შედეგად ისინი ატარებდნენ კოლონებს, ჰუმანიტარულ კოლონებს იმ სოფლებში, რომლებიც დღეების განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ ურთიერთობას. მაგალითად, გორთან და სადაც სურსათის ან მედიკამენტების, ან სამედიცინო დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით პრობლემები იყო. ასეთი შემთხვევები იყო თუმცაკი დაახლოებით 20 აგვისტოდან მას შემდეგ ,რაც კარალეთში მათ დააყენეს უკვე პოსტი, პრაქტიკულად, გამოირიცხა ჩვენი მხრიდან დახმარების მიწოდება ღია წესით და ყველაფერი ეს ხდებოდა მართლა, ადამიანების თავგანწირვის ხარჯზე. ეხლა დაჭრილების გამოყვანა, ავადმყოფების გამოყვანა ან საჭმლის შეტანა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ეს ხდებოდა ადამიანების პირადი მამაცობისა და გმირობის, უბრალო ადამიანების, სხვათა შორის, ხარჯზე და იმ ექვსპუნქტიანი შეთანხმების, ბევრ სხვა პუნქტთან ერთად ისინი არღვევდნენ სწორედ, აი, ამ უმნიშვნელოვანეს პუნქტსაც, როდესაც ჰუმანიტარული დახმარება ფერხდებოდა და დღესაც ფერხდება. სხვათა შორის, თქვენ იცით, რომ რაღაც პოლიტიკური მიზეზების გამო, ისინი არ ატარებენ ჰუმანიტარულ ტვირთებს მთელ რიგ სოფლებში და მთელ რიგ, პრაქტიკულად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით, გორის მხრიდან, პრაქტიკულად, 100%–იანი შეზღუდვა არის დაწესებული და ითხოვენ, რომ ეს ტვირთები როკის გვირაბის გავლით ანუ ჩრდილოეთ ოსეთიდან, რუსეთიდან იქნას შემოტანილი.

ეხლა კიდევ ერთ კითხვაზე მინდა პასუხი გავცე, ვთქვათ, მასშტაბზე და მოლოდინებზე და,ასე შემდეგ. აგვისტოს აგრესიის შემდეგ ეს, ამ კითხვამ უკვე არა თეორიული, არამედ პრაქტიკული ხასიათი შეიძინა. ეხლა, როდესაც ბალუევი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები იქნება დაყენებული პოლონეთსა და ჩეხეთში, რუსეთი დაუმიზნებს თავის ... საშუალებებს ამ ორ ქვეყანას. აქ ძალიან პრაქტიკული კითხვა იბადება. უკვე აგვისტოში, თუ აგვისტომდე, ვთქვათ, ცოტა რიტორიკული, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე, მაგრამ მაინც რიტორიკული ხასიათი ჰქონდა, აგვისტოს შემდეგ ამას ძალიან პრაქტიკული ხასიათი აქვს. რაც ნიშნავ ეს? ნიშნავს ეს თუ არა, რომ მათ, ისინი მართლა გადაწყვეტენ ერთ მშვენიერ დღეს განახორციელონ ასეთი მოქმედებები, თუ ეს არის მხოლოდ პოლიტიკური შანტაჟის ან პოლიტიკური, ასე ვთქვათ, ვაჭრობის, რაღაც ვაჭრობის საგანი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ჩვენთვის ,არამედ მთელი აღმოსავლეთ ევროპისთვის, ბალტიის ქვეყნებისთვის, მაგალითად, რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიამ, ძალიან, ძალიან პრაქტიკული ხასიათი მიიღო და ამ მუქარამ ძალიან პრაქტიკული ხასიათი მიიღო და ეხლა შემიძლია გითხრათ, რომ თქვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს, აქვს ძალიან მჭიდრო ურთიერთობები ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. ისინი, უკვე პრაქტიკულ გეგმებზე მუშაობენ, თუ როგორ შეიძლება მოიგერიონ რუსული აგრესია და ეხლა, კარგად გვესმის, რომ ბალტიის სახელმწიფოებსაც არ გააჩნიათ იმის სამხედრო რესურსები, რომ დაამარცხონ, ვთქვათ, რუსული ჯარი, ანუ, იქაც საუბარი არის შეფერხებაზე იმისათვის, რომ მოხდეს შემდეგ საერთაშორისო ჩარევა, ანუ მოდელი იქაც, ზუსტად ისეთი არის, აი დაგეგმარების მოდელი, როგორიც იყო ჩვენთან.

თავმჯდომარე.დიდი მადლობა, ბატონო კახა. თუ არის შეკითხვები. ბატონ გაბაშვილს.

გ.გაბაშვილი. ეგებ, თქვენ მაინც, რადგან თქვენი სამსახურის ფუნქციაა და ანალიტიკურიც არის მთელი

ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ცალკეულ უწყებებშია, მაინც ძირითადად რომ ჩამოვაყალიბოთ, თქვენი მოსაზრება გვაინტერესებს, რა იყო სტრატეგიული მიზნები მთლიანად ამ აგრესიის, რა მიზნებს ისახავდნენ. ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, ინფორმაცია ცალკეული, ვთქვათ, იგივე ბუშის ცნობილი განცხადების, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბომბვაც უნდოდათ. თქვენ ახლა მოგვახსენეთ, რომ სარკოზიმ გააკეთა განცხადება, რომ არსებობდა გეგმა თბილისის აღების. თვითონ ამ პრაქტიკულ, სამხედრო მოქმედებების მიღმა, სტრატეგიული მიზანი, რა იყო, თქვენი აზრით, ამ აგრესიის.

კ.ლომაია. გარდა ამისა, თვითონ მითხრეს, რომ მათ ჰქონდათ გეგმაში გონიოს ხიდის დაბომბვაც, გარდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა, რაც დაადასტურეს ამ რუსმა გენერლებმა. ასე, რომ რაღაცამ შეაჩერათ. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო, ალბათ, კომბინაცია ორი ფაქტორის. პირველი, ბუშის ცნობილი გადაწყვეტილება და შემდეგ ევროკავშირის აქტიურობა. ალბათ, აი ამ ფაქტორებმა, მთელი მსოფლიოსი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, კონცენტრაცია ამ აქტივობის ევროკავშირში მოხდა. მიზნებს რაც შეეხება, იცით, რაღაც, ალბათ, ანალიტიკოსთა უმრავლესობა სამ ძირითად სტრატეგიულ მიზანს გამოყოფს. პირველი, ეს გახლავთ,რუსეთის დამკვიდრება ევროპის ამ ნაწილში, ევრაზიული კონტინენტის ამ ნაწილში, როგორც იმ ძალისა, რომელსაც შეუძლია ცალმხრივად და ძალადობრივად შეცვალოს ევროპის რუკა. ანუ ცალმხრივად და ძალადობრივად განსაზღვროს, სად გადის რომელი სახელმწიფოს საზღვარი მის სამეზობლოში. მეორე, ეს გახლავთ, ერთადერთ არარუსულ ენერგოდერეფანზე კონტროლის დაწესება, იმ დერეფანზე , რომელსაც აზერბაიჯანული და კასპიური და შემდეგ პერსპექტივაში და რეალურ პერსპექტივაში ცენტრალური აზიური ენერგორესურსების მიწოდება შეუძლია და აწვდის ევროპის ბაზრებს. მე შეგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს გავლით 36 მლნ ტონა ნავთობი მიეწოდება ევროპას ყოველწლიურად . და თურქმენეთში მნიშვნელოვანი რუსეთთან ... გაზის საბადოების, უკვე დადასტურებული საბადოების აღმოჩენასთან ერთად 13–14 ოქტომბერს, მოხდა ამის გაცხადება. ამ ალტერნატიული ნავთობ და გაზსადენის მნიშვნელობა ერთი–ორად იზრდება. ასე, რომ ,ალბათ, ეს რეჟიმის ჩანაცვლების გზით მოსკოვისადმი უფრო ლოიალური მთავრობის მოყვანით კონტროლის დაწესებაა აი ამ არარუსულ , ერთადერთ არარუსულ ენერგოდერეფანზე , რომელიც გადის აზერბაიჯან– საქართველოზე და შემდეგ თურქეთის გავლით ევროპაში, და მესამე, ეს არის საქართველოს დასჯა იმ ცუდი მაგალითისთვის ბრჭყალებში, რომელსაც ის აწვდის , როგორც ოპოზიციაში მყოფი, რუსეთში და ასევე სხვა სახელმწიფოებს რუსეთის პერიმეტრზე, რუსეთის სამეზობლოში. ეს არის დემოკრატიის შიში და განვითარება და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ეხლა ყველა იმ პრობლემით, რომელიც არსებობს ჯერ კიდევ , არსებობს და გადასაჭრელია . ყველასათვის ნათელია, რომ საქართველომ 2004, და ,მათ შორის, ბუნებრივია, ეს ნათელია რუსეთისთვის 2004 წლიდან , ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადადგა დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით , ისეთი ნაბიჯები , რომელიც არ შეიძლება მიმზიდველი არ იყოს სხვა საზოგადოებებისთვის და ჩვენ დავინახეთ, რომ მთელი რიგი ნაბიჯები გადაიდგა,.როგორც ჩანს, რუსეთმა ჩათვალა, რომ ეს არის სახიფათო მისი , როგორც შიდა მოწყობის, ასევე მის სამეზობლოში, რაღაც დემოკრატიული სარტყელის შექმნის თვალსაზრისით , და სწორედ ამიტომ მოხდა ამ სადამსჯელო ოპერაციის ობიექტად საქართველოს შერჩევა . ეხლა თუ ეს ასეა და თუ ამის სტრატეგიული მიზანი ჰქონდა რუსეთს, მაშინ ისმის კითხვა, მიაღწია თუ არა მან ამ მიზნებს და ვინაიდან , ცხადია, რომ ვერ მიაღწია , ყოველ შემთხვევაში, მთლიანად ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღწია, როგორი შეიძლება იყოს მისი შემდეგი, შემდგომი მოქმედებები. ეხლა ამ კითხვებზე პასუხი საბოლოოდ ჩამოსაყალიბებელია და გასააზრებელი, მაგრამ ერთი რაც არის ნამდვილად ნათელი , როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შესაძლო პასუხი, ჩვენი საზოგადოების არჩევანი არის ძალიან ნათლად გამოკვეთილი. ეს არის ევრო და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, როგორც ყველა ამისათვის საჭირო ნაბიჯებით, რომელიც შემდგომი დემოკრატიული რეფორმებით, შემდგომი ეკონომიკური რეფორმებით, სოციალური და ა.შ. ასე, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ სწორედ ის, რაც რუსეთს უნდოდა, ის არ მოხდეს ანუ მისი საპირისპირო შედეგი დადგეს. მაგრამ, ჩვენ ასევე კარგად გვესმის, რომ მაგალითად, ევროპული დაახლოება თუ ევროატლანტიკური, ეს არ არის ცალმხრივი ქუჩა, ცალმხრივი მოძრაობით. ამას, რა თქმა უნდა, შემხვედრი ნაბიჯები სჭირდება და ამ პირველ ნაბიჯებს ჩვენ ვხედავთ, ევროკავშირის მხრიდან მეტი დაახლოება. ევროატლანტიკური სივრცის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპს გავდივართ და, ალბათ, წლევანდელი წელი და მომავალი წელი გადამწყვეტი იქნება სწორედ იმისათვის, რომ ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია შეუქცევადი გახდეს.

თავმჯდომარე. თუ მეტი შეკითხვები არ არის, მაშინ დახურულ რეჟიმში გავაგრძელოთ მუშაობა, რადგან ბატონ კახას აქვს გარკვეული ინფორმაციები ჩვენთვის. საორგანიზაციო განყოფილებას ვთხოვ, რომ გვაცნობოს, როდის შეიძლება მუშაობის გაგრძელება.